ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 12 – 13 დეკემბერი, 2015 | №292 (6912) | ფასი: 50 თეთრი

## ევროპული უიკ ენდის მოლოდინში



გვ.2

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.12 | კრ.პალასი-საუთჰემპტონი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 12.12 | ლევერკუზენი-გლადბახი | 2.0 | 3.5 | 3.4 |
| 12.12 | უდინეზე-ინტერი | 3.8 | 3.25 | 1.95 |
| 13.12 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1.36 | 4.5 | 9.0 |
| 13.12 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.65 | 3.5 | 6.0 |
| 13.12 | ვილიარეალი-რეალი | 4.5 | 4.2 | 1.67 |
| 13.12 | ეიბარი-ვალენსია | 2.62 | 3.2 | 2.75 |
| 13.12 | აუგსბურგი-შალკე | 2.5 | 3.4 | 2.6 |
| 13.12 | მილანი-ვერონა | 1.36 | 4.5 | 8.0 |
| 13.12 | ნაპოლი-რომა | 1.57 | 3.8 | 5.5 |
| 13.12 | პსჟ-ლიონი | 1.25 | 5.5 | 10.0 |
| 14.12 | ლესტერი-ჩელსი | 3.2 | 3.3 | 2.25 |

# სერგო რატიანი: „ივანიშვილს ნაციონალების საუბრების გამოქვეყნება ვერ გადაარჩენს“



გვ. 5

„ხელისუფლების გარდა, სხვა მტერი არ გვყავს“

## პროკურატურამ დავით ახალაია, გიგი კალანდაძე, მეგის ქარდავა და რომან შამათავა პასუხისგებაში მისცა





გვ. 6

ბაჩო ახალაია: „რუსული სპეცსამსახურები ცალ კარში თამაშობენ“

## პაატა ზაქარეიშვილს ოფისი დაულუქეს და დუსტი დაუყარეს

მეგი გოცირიძე: „შერიგების მინისტრს ცხვირზე დალი უნდა დავასვა“



გვ.2






გვ. 6

## მაისაია: „ელისაშვილმა ბოდიში მოგვიხადოს“



გვ.4

## სოსო ცინცაძე: „ელისაშვილის ბრალდებაზე არავინ დაისჯება“

## ზურაბ კუკულაძე: „საპენსიო ფონდი ხელს შეუწყობს საფინანსო ბაზრის განვითარებას“

„დღეს საფინანსო სისტემა მონოპოლიზებული აქვს საბანკო სისტემას“



გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## მგებრიშვილი აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დირექტორს შეხვდა



გვ.7

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# პაატა ზაქარეიშვილს ოფისი დაულუქეს და დუსტი დაუყარეს

## მეგი გოცირიძე: „შერიგების მინისტრს ცხვირზე დაღი უნდა დავასვა“

შორენა მარსაგიშვილი





**სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს საკუთარი ენა ოპოზიციაში ჩაუდგა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი განცხადებების ახსნა შეუძლებელია. მისგან უცნაურ განცხადებებს ერი ასე თუ ისე შეგუებულია, მაგრამ ბოლოს ისეთი რაღაცა თქვა, რომ ყველაზე მშვიდი ნერვების პატრონებიც კი გამოიყვანა წყობილებიდან.**

მიმდინარე წლის 29 ნოემბერს ზაქარეიშვილმა განაცხადა, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არასდროს ყოფილაო. ერის ოპტიმისტურად განწყობილი ნაწილი იმედოვნებდა, რომ სახ.მინისტრი განმარტებებს გააკეთებდა და დაფრქვეული სიბრძნისთვის ბოდიშს მოიხდიდა.

აღმოჩნდა, რომ ზაქარეიშვილი განმარტებების გაკეთებას და, მით უმეტეს, ბოდიშის მოხდას არ აპირებდა.

„აფხაზთა კრებამ“ და დევნილებმა 2 კვირიანი ლოდინის შემდეგ გადაწყვიტეს, პირადად მოესმინათ მინისტრისგან ახსნა-განმარტებები. 11 დეკემბერს რამდენიმე ათეული ადამიანი ხოჭოს გამოსახულებიანი ტრანსპარანტებით სახელმწიფო მინისტრის სამუშაო ადგილს მიადგა და იქაურობა უბედურების ზონად გამოაცხადა.

აქცია წინა დღეს იყო დაანონსებული და ამის შესახებ სკანდალურ მინისტრსაც ჰქონდა ინფორმაცია. ზაქარეიშვილმა იქაურობა აქციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დატოვა.

აქციის მონაწილეთა შორის იყო ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძეც. ის კარგა ხანია, ზაქარეიშვილის ფენომენის შესწავლითაა დაკავებული და მას პუტინის ტყუპისცალად მიიჩნევს.

— ზაქარეიშვილის წინააღმდეგ აქციის მოსაწყობად აფხაზეთიდან დევნილები შეიკრიბნენ. აფხაზეთი არის ჩემი მიწა და თავი ვალდებულად ჩავთვალე, უსირცხვილო მინისტრის უსირცხვილო განცხადება გამეპროტესტებინა, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მეგი გოცირიძემ.

აქციის მონაწილეებმა ზაქარეიშვილის სამფლობელოსთან, ტრანსპარანტების გარდა, დუსტიც მიიტანეს.

— ხოჭო არის მავნებელი და გეორგიევსკის ბაფთის ფერებში შეღებილი ხოჭო ყველაზე კარგად გამოხატავს ზაქარეიშვილის ბუნებას, რომელიც თავადაც მავნებელია. მავნებლებს დუსტით ებრძვიან. ჩვენც დუსტი დავყარეთ სამინისტროს შენობასთან, — აღნიშნავს ყოფილი დეპუტატი.

იმოქმედებს თუ არა ზაქარეიშვილზე მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლო საშუალება, მან არ იცის.

— აქციის დაწყებამდე 15 წუთით ადრე ეს ადამიანი სამინისტროდან გაიქცა. არადა, ის ვალდებული იყო, ამ ადამიანებისთვის მოესმინა. სხვა თუ არაფერი, ის და მისნაირები ამ ადამიანების ჯიბიდან ამოღებული ფულით ღებულობენ პრემიებს და მივლინებებში დადიან. სანამ სამინისტროში მივა, ალბათ იმ დუსტს გადარეცხავენ და ზაქარეიშვილზე ვერ იმოქმედებს. ამის გამო იქ, შესაძლოა, კიდევ დაგვჭირდეს მისვლა, — ამბობს გოცირიძე.

ყოფილი დეპუტატი აქციის მიმდინარეობისას მინისტრის საფირმო ფრაზებს იხსენებდა და აღშფოთებას ვერ მალავდა.

— ჩემთვის ის გახლავთ კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მოღალატე. ჩვენდა საუბედუროდ, ეს კაცი საქართველოს მთავრობას წარმოადგენს. ეს არის მინისტრი, რომელსაც კონფლიქტების მოგვარება და ერების შერიგება ევალება. ეს ადამიანი ამტკიცებს, რომ რუსებს საქართველოს საზღვარი არ დარღვევიათ, არადა, რუსებს ავტობანამდე 500 მეტრი აშორებთ, მეტი არა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს არის ფილიპე მახარაძე. პუტინს მტრად არ მიიჩნევს და ამბობს, მტერი როგორ არის, თავად ხომ არ ამოქოქა ტანკიო, — აცხადებს ექს-დეპუტატი.

ის მინისტრს საქართველოს ისტორიის არცოდნაშიც ადანაშაულებს და სურვილი აქვს, მას დავით აღმაშენებლის დროინდელი მეთოდებით მოსთხოვოს პასუხი:

— ეს კაცი სუფთა კოლაბორაციონისტია, ამბობს, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არასდროს ყოფილაო. თავს იწონებს, დავით აღმაშენებლის დროს რა ხდებოდა, არ ვიციო. საიდან ეცოდინება, როცა საქართველოს ისტორია გადაშლილი არა აქვს. სამაგიეროდ, მე ვიცი კარგად, რასაც უშვრებოდა დავით აღმაშენებელი ამნაირებს. ის მოღალატეებს ენას აძრობდა და მთელ სხეულს უშანთავდა. ზაქარეიშვილსაც ერთი ადგილი არ უნდა დაუტოვო ამოუშანთავი. გამოსაჩენ ადგილზე, კონკრეტულად ცხვირზე კი, მოღალატე უნდა დააწერო.

მეგი გოცირიძე დასაშანთად გამეტებულ მინისტრს აფერისტობაშიც სდებს ბრალს.

— 2013 წლის 29 ნოემბერს, როდესაც ასოცირების ხელშეკრულება იყო პარაფირებული, საშინელი რესპუბლიკელების საშინელმა წარმომადგენელმა ზაქარეიშვილმა მაშინ თქვა: აფხაზებმა და ოსებმა ახლა კეთილი ინებონ და გადაწყვიტონ, რუსეთში რჩებიან თუ ჩვენთან ერთად მოდიან ევროპაშიო. ზუსტად 2 წლის თავზე განაცხადა, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილაო, — ამბობს გოცირიძე.

მას ყველაზე მეტად ის განცხადება ამწარებს, რომელიც სახმინისტრმა აფხაზეთიდან ჩამოსვენებულ თავმოკვეთილ ცხედრებთან დაკავშირებით გააკეთა.

**მეგი გოცირიძე:**

— ამ კაცს რომ ვუსმენ, სულ ნერვები მეშლება, მაგრამ ის განცხადება რომ მახსენდება, რომელიც თავმოკვეთილ ქართველებზე გააკეთა, ლამისაა გული გამისკდეს. აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს და მოგვიანებითაც, ის ტყვეთა გაცვლის კომისიაში იყო. ამ კომისიას ევალებოდა მიცვალებულების გადმოსვენებაც.

აფხაზეთიდან გადმოსვენებული ქართველების ნაწილს თავები არ ჰქონდა. ამას ზაქარეიშვილიც ადასტურებს და აცხადებს, რომ თავად ღებულობდა მათ დაკრძალვაში მონაწილეობას. ჟურნალისტმა ჰკითხა, რატომ ექცეოდნენ ასე სასტიკად ქართველებს და თავებს რატომ აჭრიდნენო. იცით, რა უპასუხა ამ ფარისეველმა რესპუბლიკელმა? მათთვის თავები არ მოუჭრიათ, უბრალოდ, აფხაზეთში ნესტიანი ჰავაა, ეს ცხედრები გარეთ იყო დატოვებული და თავები მოსძვრათო.

დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრისგან ამაზე საინტერესო პასუხი მივიღეთ. დასკვნაში პირდაპირ იკითხება, რომ სახელმწიფო მინისტრი არის არა მარტო ბრიყვი, არამედ მოღალატეც. დასკვნაში გადმოცემულ გვამური ცვლილებების დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. მკითხველიც მეცოდება და ჩემი თავიც. გვამური ცვლილებები საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. 100 წელი მიწაშიც რომ იყოს, ცხედარს ფიზიკურად თუ არ შეეხე, თავის ქალის მოცილება წარმოუდგენელია.

* * *

ყოფილი დეპუტატი საქართველოს მოსახლეობას და საკუთარ თავს სიბეჩავეში სდებს ბრალს და ამბობს, რომ ზაქარეიშვილის თავგასულობა ყველას ბრალია.

— მაინტერესებს, როდემდე უნდა ვითმინოთ მისი განცხადებები. დღემდე მიკვირს, რამ დაგვაბეჩავა ასე, რომ პასუხს არ ვითხოვთ. სად არის ის საქართველო, რომელსაც იუნკერები ჰყავდა? სად არის ის საქართველო, რომელსაც 100.000 წმინდანი ჰყავს. ვუყურებ ზაქარეიშვილს და მგონია, რომ ეს გმირობის ისტორიები ჩვენ მოვიგონეთ. უკვე იმაშიც მეპარება ეჭვი, იყო თუ არა 9 აპრილი საერთოდ, არადა იმ დღეს მეც დავზარალდი, — აღნიშნავს გოცირიძე.

ის თავისი მეგობრების სახელით პაატა ზაქარეიშვილის გადადგომას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო მკაცრი ზომების გატარებით იმუქრება.

— 11 დეკემბრის აქციაზე სამინისტრო დავულუქეთ. მომავალში შევეცდებით, იქ გამოვამწყვდიოთ, — ამბობს ყოფილი დეპუტატი.

# პოროშენკოს გუნდი სააკაშვილის წინააღმდეგ

## დიმიტრი გოლუბოვი: „ქართველების ბანდა გასტროლებზეა ჩამოსული“

შორენა მარსაგიშვილი

**უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. მას უკვე პეტრო პოროშენკოს გუნდის წევრებიც უპირისპირდებიან. რადას დეპუტატმა, დიმიტრი გოლუბოვმა, ნაპრეზიდენტალს კორუფციაში დასდო ბრალი.**

გოლუბოვი ფრაქცია „პეტრო პოროშენკოს ბლოკის“ და უკრაინის ინტერნეტ-პარტიის ლიდერია. სააკაშვილთან ერთად მან კორუფციაში გია ლორთქიფანიძეც დაადანაშაულა. ეს უკანასკნელი ოდესის ოლქის პოლიცმაისტერია.

სკანდალური განცხადება გოლუბოვმა რადას პლენარულ სხდომაზე გააკეთა.



— 30 მაისიდან ოდესაში მუშაობს ქართველ რეფორმატორთა ბანდა, საქართველოს მთავარი რეფორმატორის, მიხო სასწაულმოქმედის ხელმძღვანელობით. 12 ნოემბერს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილის გუნდი ძარცვავს საქველმოქმედო ფონდს, რომელიც მეომართა რეაბილიტაციისთვის არის განკუთვნილი, — აღნიშნა პოროშენკოს თანაგუნდელმა.

მისი თქმით, სააკაშვილი და მისი გუნდი ამ ფულით აწყობენ ბანკეტებს, ყიდულობენ ძვირადღირებულ ავტომობილებს,

— იწვევენ მომღერლებს რომიდან, თბილისიდან და გასართობ ღონისძიებებს ატარებენ, ფანტავენ ფულს საკუთარი პიარისთვის და ა.შ. მაგალითად, 190.000 გრივნა ამ ფონდიდან დაიხარჯა ფურშეტისთვის ბრისტოლში, 3 მილიონი 3 დღის მანძილზე გადაერიცხა სააკაშვილის პირადი პიარისთვის ტელეარხ ინტერს, 4 მილიონი გრივნით შეიძინეს 6 ავტომობილი რეფორმატორების კორტეჟისთვის. 30.000 დაჯდა საწვავი, — ამბობს რადას დეპუტატი.

დეპუტატის განმარტებით, ფონდის ფულით სააკაშვილის დაცვის წევრებიც კი სარგებლობენ.

— ფონდის ფულით შეიძინეს სააკაშვილის პირადი მცველების გიორგი რუბაშვილის და გიორგი ცინცაძის თვითმფრინავის ბილეთები. 31 ოქტომბერს ამ ფონდის თანხებით რომიდან სტამბოლის გავლით ოდესაში ჩამოფრინდა მომღერალი ფატიე ჯომარაძე, 3 ნოემბერს ეს ქალი კიდევ ერთხელ ჩამოფრინდა ოდესაში იმავე ფონდის სახსრებით. ასე ხდება თითქმის ყოველ დღეს, მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ სამხედროების სარეაბილიტაციო ფონდის ხარჯზე იმგზავრა ოდესის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, მილიციის გენერალ-მაიორმა ლორთქიფანიძემ, ეს კი კორუფციული დანაშაულის გამოვლინებაა, — აღნიშნავს გოლუბოვი.

დეპუტატი სასწრაფო წესით ითხოვს ლორთქიფანიძესთან დაკავშირებული სკანდალის გამოძიებას. მას ეჭვი ეპარება, რომ კორუფციისკენ მიდრეკილი მილიციის გენერალი მილიციას გაწმენდს.

გოლუბოვმა სააკაშვილი და მისი გუნდი რეკეტიორებად მოიხსენია და მათგან უკრაინის გაწმენდა მოითხოვა.

**დიმიტრი გოლუბოვი:**

— მოვითხოვ ანტიკორუფციული პროკურორისგან, დაუყოვნებლივ გამოიკვლიოს აღნიშნული ფაქტი და მისცეს სათანადო შეფასება, რადგან ეს გახლავთ პირდაპირი კორუფციული სამართალდარღვევა და ამ ადამიანმა უნდა გაწმინდოს მილიციელთა რიგები? რა წმენდა! რისი რეფორმები?! ნამდვილი რეკეტიორები არიან, მექრთამეები, კანონიერი ქურდები.

დროა, ყველამ გაიგოს, რომ ქართველების ეს ბანდა ჩამოსულია გასტროლებზე, როგორც საცირკო დასი ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში და აგროვებს ფულს საქართველოში არჩევნებისთვის. ესენი წავლენ და მათ შემდეგ დარჩება: გაფლანგული ფული, კორუფციული გარიგებები და სირცხვილი, რომელსაც ჩვენს გუნდს მიაწერენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პროკურატურამ დავით ახალაია, გიგი კალანდაძე, მეგის ქარდავა და რომან შამათავა პასუხისგებაში მისცა

## კოკა კაციტაძე: „ელბერტ კობერიძეს უნდა ეღიარებინა, თითქოს ზუგდიდში აპირებდა ტერორისტული აქტის მოწყობას“



11 დეკემბერს მთავარმა პროკურატურამ თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ფაქტზე პასუხისგებაში მისცა თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ახალაია, გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი კალანდაძე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა და შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა.

შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გიორგი სამუშია დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით.

— გახსნილია დავით ახალაიას, გიორგი კალანდაძის, მეგის ქარდავას და რომან შამათავას ორგანიზებით განხორციელებული მოქალაქე ელბერტ კობერიძის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ფაქტი და დადგენილია, რომ 2012 წლის 28 ივლისს, ქ.ზუგდიდში, საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომელმა გიორგი სამუშიამ, ამ დროისთვის დაუდგენელ 2 პირთან ერთად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ისე რომ, არ არსებობდა სისხლის სამართლის საქმე, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება გალის რაიონში მცხოვრებ ელბერტ კობერიძეს, იძულებით ჩასვა თავის სამსახურებრივ მანქანაში, დაადო ხელბორკილი, თავზე ჩამოაცვა ტომარა და გადაიყვანა ქ.თბილისში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ის უკანონოდ გამოამწყვდიეს სამხედრო პოლიციის ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ ოთახში, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

მეორე დღეს, 29 ივლისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, ზუგდიდან მოტაცებულ და ოთახში დამწყვდეულ ელბერტ კობერიძესთან შესახვედრად შეიკრიბნენ დავით ახალაია, გიორგი კალანდაძე, მეგის ქარდავა და რომან შამათავა.

— მათ, არარსებული ტერორისტული აქტის მომზადების აღიარების მოთხოვნით, ელბერტ კობერიძეს დაუწყეს ცემა—წამება, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში. მას არაერთხელ შეასხურეს მხუთავი აირი, გაგუდვის ინსცენირების მიზნით თავზე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი და დააგდეს ძირს, წაქცეულს უმოწყალოდ სცემეს ფეხებითა და ხელკეტებით, ემუქრებოდნენ გაუპატიურებით, თავზე აჭერდნენ ფეხს და



### ბაჩო ახალაია: „რუსული სპეცსამსახურები ცალ კარში თამაშობენ“

მიმართავდნენ ყველა ხერხს, რათა ე.კობერიძეს რეალურად აღექვა სიცოცხლის მოსპობის საფრთხე, — აცხადებენ პროკურატურაში.

წამებისას ელბერტ კობერიძე გახდა ცუდად და დაკარგა გონება. უგონოდ მყოფი გაიყვანეს სხვა ოთახში და დატოვეს ხელზე ბორკილდადებული, სადაც 8 დღის განმავლობაში უმწეო მდგომარეობაში მყოფი ჰყავდათ უკანონოდ გამომწყვდეული.

— მთელი ამ დროის განმავლობაში ე.კობერიძის ადგილსამყოფელი უცნობი იყო ოჯახისათვის, რის გამოც მათ დასახმარებლად პოლიციას მიმართეს, თუმცა უშედეგოდ, არც ერთი სახელმწიფო ორგანო გატაცებული ელბერტ კობერიძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას არ გასცემდა, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

2012 წლის 6 აგვისტოს, ნაწამები და უგონო მდგომარეობაში მყოფი ელბერტ კობერიძე სამხედრო პოლიციის შენობიდან გადაიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც ხელბორკილით მიაბეს საწოლზე, დააწესეს მასზე მუდმივი მეთვალყურეობა და დანაშაულის კვალის შენიღბვის მიზნით, დაარეგისტრირეს ელდარ მამალაძის სახელით.

— 2012 წლის 13 აგვისტოს, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გაწეული მკურნალობის შემდეგ ე.კობერიძე გადაიყვანეს თბილისში და დატოვეს ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც ის, თითქოსდა 8 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა პოლიციამ, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

2012 წლის 8 ოქტომბერს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ელბერტ კობერიძემ დატოვა სასჯელაღსრულების დაწესებულება. მთელი ამ დროის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელი ოჯახისთვის უცნობი რჩებოდა.

— საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“, ასევე მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას“, — აცხადებენ პროკურატურაში.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# პარლამენტმა 2016 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

## ეკა ხერხეულიძე ფინანსთა მინისტრის გადადგომას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**საკანონმდებლო ორგანოში 11 დეკემბერს დეპუტატები მომავალი წლის ბიუჯეტს განიხილავდნენ.**

განხილვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცხარე დებატების ფონზე



ჩაიარა. ნაციონალებმა მეოცნებეებს მთავარი საფინანსო დოკუმენტი, სულ ცოტა, 41-გზის შეუჩვენეს. იმათგან კი საპასუხოდ 9 წლიანი პერიოდის წყევლა-კრულვა მიიღეს.

ბიუჯეტის პროექტით ყველაზე მეტად ეკა ხერხეულიძე იყო აღშფოთებული. ის იმდენად შეაძრწუნა ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკამ, რომ პარლამენტში მყოფ ნოდარ ხადურს სულ ფანდარასტ-ფანდარასტი ეძახა.

დანარჩენი ნაციონალების მსგავსად, მანაც განაცხადა. რომ ამ საშინელ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერდა, რადგან ქვეყანაში ყველა მესამე ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება და ეს ხელისუფლების დამსახურებაა.

— ის, რომ დღეს თქვენ ფლობთ მინისტრის პორტფელს, არ გახლავთ თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობების დამსახურება. ეს გახლავთ თქვენ მიერ კარგად გაყიდული საარჩევნო ტყუილის დამსახურება. თქვენ ქართველი საზოგადოება და ხალხი უტიფრად მოატყუეთ და სთავაზობდით ეკონომიკურ კეთილდღეობას, სანაცვლოდ კი მოუტანეთ ქვეყანას ეკონომიკური უბედურება, — უთხრა ნაციონალმა დეპუტატმა ფინანსთა მინისტრს.

ხერხეულიძის თქმით, დღეს საქართველოში იმაზე მეტი გაჭირვებულია, ვიდრე ნორმალურად მცხოვრები ადამიანი. ეს არის ტრაგედია. ყველა მესამე ადამიანი საქართველოში არის ხელმოკლე. ეს არის დამსახურება იმის, რომ თქვენ მიერ მოტყუებულ ხალხს ერთი დაპირებაც კი არ შეუსრულეთ.

— როდესაც თქვენ ითხოვთ მხარდაჭერას, მე მაქვს მორალური პასუხისმგებლობა და ვეცდები ჩემს თანაგუნდელებთან ერთად მხარი არ დავუჭირო ამ პროექტს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ უნიათო ხელისუფლებას იოტისოდენა წინგადადგმული ნაბიჯიც კი არ მოუტანია ქვეყნისთვის. თქვენ უნდა დატოვოთ თანამდებობა. თქვენ თუ ამ ქვეყნის პატრიოტი ხართ, უნდა მისცეთ შესაძლებლობა მოქალაქეებს, უკეთესი დღე მოუტანოთ, — მიაყარა ქოქოლა მომღიმარ ხადურს ხერხეულიძემ.

ბიუჯეტის პროექტი ხერხეულიძის თანამებრძოლმა ნუგზარ წიკლაურმაც შეაჩვენა. მისი თქმით, ხელისუფლება ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, ქვეყნის სათავეში მოსულ მტერსაც რომ გაუჭირდებოდა.

ნოდარ ხადურს მან პირში მიახალა, რომ სასტიკმა ხელისუფლებამ უნიათო პოლიტიკით უარი თქვა ინვესტიციებზე და ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაზე.

— მთავრობას, უპირველეს ყოვლისა, გადასახადები უნდა შეემცირებინა და ბიზნესში მეტი ფული დაეტოვებინა, მეტი ფული დაეტოვებინა ადამიანებისთვის და შემდეგ ეს ადამიანები შექმნიდნენ დოვლათს, რომელსაც გამოვიყენებდით პენსიონერებისთვის, სოციალურად დაუცველებისა თუ სხვა ჯგუფებისთვის, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას ყველაზე მეტად საჭიროებენ. ეს სახელმწიფომ არ გააკეთა, — აღნიშნა დეპუტატმა.

მერე გაიხსენა, როგორ სთხოვდნენ ხელისუფლებას, ბიუროკრატიული ხარჯები შეემცირებინათ და უაზრო რეგულაციების დაწესებისთვის შეაჩვენა.

— გეუბნებოდით, შეგემცირებინათ ხარჯები და ეს ფულიც მიმართული იყოს ბიზნესში. გეუბნებოდით იმის თაობაზე, რომ აუცილებელია რეგულაციების შემცირება. კომიკური რეგულაციები, რომლებიც უცხოელებისთვის დააწესეთ და შემდეგ სამარცხვინოდ თქვენ თვითონვე მოხსენით, რადგან მიხვდით, თუ რას უქადდა ეს ქვეყანას, ყველამ კარგად ვნახეთ, მაგრამ რეგულაციები კვლავ არსებობს და ეს რეგულაციები კვლავ არის უაზრო, რაც ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას უშლის ხელს, — აღნიშნა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

მისი თქმით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ბიზნესის დეკრიმინალიზაცია იყო.

— ამაზეც უარი თქვით. ამიტომ ძალიან ბევრი ფული, რომელსაც ბიზნესი და ხალხი მუთაქებში ინახავს, კვლავ იმ მუთაქებში რჩება, ქვეყნის ეკონომიკაში არ შემოდის და ქვეყნის განვითარებას არ ემსახურება. არ მინდა მტრებად დაგსახოთ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მტერი რომ დაგეყენებინათ, სწორედ ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებდა, რასაც თქვენ იღებთ, — განაცხადა აღშფოთებულმა წიკლაურმა.

მთავარი საფინანსო დოკუმენტი სხვა ნაციონალებმაც შეაჩვენეს. მათ შეჩვენებებს ტრიბუნასთან მდგარი ფინანსების მამა ირონიული ღიმილით ხვდებოდა. სამაგიეროდ, მზესავით იბადრებოდა, როცა ვინმე ბიუჯეტს შეაქებდა. მაქებრები ამ პროექტს მრავლად ჰყავდა.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ომარ ნიშნიანიძემ ნაციონალებს ბიუჯეტის პროექტის კრიტიკა აუკრძალა. როგორც მან აღნიშნა, „თვითმარქვია ნაციონალურ მოძრაობას“ ბიუჯეტი საკუთარი ჯიბე ეგონა და როგორც უნდოდა, ისე იყენებდნენ მას“.

— თვითმარქვია ნაციონალურ მოძრაობას ბიუჯეტი საკუთარი ჯიბე ეგონა და როგორც უნდოდა, ისე იყენებდნენ მას — ოჯახის წევრებისათვის, საყვარლებისათვის, ბოტოქსებისათვის, მასაჟისტებისათვის და რა ვიცი — დროის ტარებისათვის. ეს, როგორც იქნა, ჩვენთან მოისპო, — განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ სესიაზე.

ხადურს ნაშრომი სხვებმაც შეუქეს. ფინანსთა მინისტრის ბედნიერება მაშინ უნდა გეხილათ, როცა ტაბლოზე კენჭისყრის შედეგები აციმციმდა.

პარლამენტმა 2016 წლის ბიუჯეტი 83 ხმით დაამტკიცა. წინააღმდეგი მხოლოდ 11 კაცი იყო.

# ხელვაჩაურის ტყეში მონადირეებმა უცხოელების ცხედრები იპოვეს

ხელვაჩაურის ტყეში მონადირეებმა უცხოელების ცხედრები იპოვეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით, ტყეში, ოთხი უცხოელის ცხედარი იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მარადიდის რწმუნებულმა თემურ დიდმანიძემ განუცხადა, ინდოელი მამაკაცების ცხედრები მარადიდელმა მონადირეებმა თოვლში ნახეს.

— მონადირეებმა მამაკაცების ცხედრები ტყეში, სოფლიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით იპოვეს. სავარაუდოდ, ისინი თურქეთში საზღვრის გვერდის ავლით გადასვლას აპირებდნენ. თურქეთის საზღვრამდე 4 კილომეტრი ექნებოდათ დარჩენილი, — აღნიშნა თემურ დიდმანიძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით საქმე 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ინტერპრესნიუსი

# ზურაბ მელიქიშვილი: „ოთხჯერ ესროლა ნოდარ ხადურმა სამიზნეს საბიუჯეტო პროგნოზი და ოთხჯერვე ააცილა“



— ვერც ერთი პროგნოზი, რომელიც ნოდარ ხადურის ხელმძღვანელობით პარლამენტში იქნა შემოტანილი, ვერ გამართლდა.

2013 წელს ვერ გამართლდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი და ბიუჯეტი 700 მილიონით გაირღვა.

2014 წელს საქართველო არჩევნის წინაშე იყო — ბიუჯეტი ფურცელზე შესრულებულიყო, თუ ლარს აელო დამატებითი ტვირთი — თქვენ მეორე გზა აირჩიეთ და ლარის გაუფასურება დაიწყო.

პროგნოზი ვერც 2015 წელს გამართლდა, როცა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ორჯერ მოგიწიათ — მათ შორის იმ ნაქები პროექტების შემცირების კუთხით, რომელიც წინა წლის დეკემბერში დიდის ამბით წარუდგინეთ პარლამენტს, — მიმართა ფინანსთა მინისტრს ზურაბ მელიქიშვილმა.

ამასთან, მელიქიშვილის თქმით, 2012 წელს 8 მილირდიანი ბიუჯეტი 4 მილიარდ 800 მილიონი დოლარი იყო, ხოლო ახლა 10 მილიარდის ოდენობით წარდგენილი ბიუჯეტი არის 4 მილიარდ 100 მილიონი დოლარი, ანუ სხვაობა 700 მილიონი დოლარით ნაკლებია.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროქტის განხილვა მიმდინარეობს. საბიუჯეტო პროექტი დეპუტატებს ნოდარ ხადურმა წარუდგინა.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო ცინცაძე: „ელისაშვილის ბრალდებაზე არავინ დაისჯება“

ნათია ხურცილავა



**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ 2016 წლის არჩევნების შედეგებზე ალეკო ელისაშვილის განცხადება, რომელიც ხელისუფლების მაღალჩინოსნების კორუფციული გარიგების ბრალდებას უკავშირდებოდა, პირდაპირ გავლენას არ იქონიებს.**

**სოსო ცინცაძე:**

— მსგავსი სკანდალები არჩევნებზე ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, პირდაპირ გავლენას არ ახდენენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში აუცილებლად მოახდენდა, მაგრამ საქართველოში — არა. სწორედ ამიტომ არის, რომ ხელისუფლებას მსგავსი სკანდალი ნაკლებად აწუხებს.

***— თქვენ გჯერათ ალეკო ელისაშვილის?***

— ალეკო ელისაშვილი პატიოსანი, პრინციპული ადამიანია, მე მას 10 წელია ვიცნობ. მისი გაჩუმება შეუძლებელია. ის მართლაც არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი პოლიტიკოსი, მაგრამ მე არ ვიცი, მის ხელთ რა მტკიცებულებებია, რამდენად მყარია ისინი.

***— ოპოზიცია ამბობს, რომ ქვეყანაში 180 პოლიტპატიმარი არ ყოფილა, ამნისტიის კომისიის წევრები აცხადებენ, დასახელდეს თუნდაც ერთი ადამიანი, ვისაც არ ეკუთვნოდა განთავისუფლებაო.***

— როდესაც საბჭოთა კავშირში, 70-იანი წლების მეორე ნახევარში, ნიქსონს პოლიტპატიმრების სია გადასცეს, იმ სიაში მხოლოდ 42 ადამიანი იყო, მათ შორის, ბუკოვსკი და სხვები.

საქართველოში უცებ 200 პოლიტპატიმარი აღმოჩნდა. პროცესი ძალიან პოლიტიზირებული იყო. ახალმა ხელისუფლებამ კარგად გათვალა. მან იცოდა, რომ გაცემულ სოციალურ დაპირებებს ვერ შეასრულებდა. ამიტომ, რაც არ იყო ხარჯებთან დაკავშირებული და რასაც მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდებოდა, იქ მაქსიმალურად მოახდინა ხელისუფლებამ მობილიზება. ამით პოლიტიკური დივიდენდებიც მოიპოვა მოსახლეობაში. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პიარსვლაა. ასე იყო შუა საუკუნეებშიც, როდესაც მონარქი ეკურთხებოდა მეფედ, მისი პირველი აქტი შეწყალება იყო.

***— თუმცა, შეწყალების აქტი ყველაზე ჰუმანური აქტია.***

— ცხადია, მაგრამ პოლიტიკოსისთვის ეს ყველაზე ადვილად შესასრულებელია, ამისთვის არც ბიუჯეტის შესრულებაა საჭირო და არც 100 საწარმოს გახსნა.

***— რა მოლოდინი გაქვთ, პროკურატურა გამოიძიებს ამ საქმეს, მიიყვანს ბოლომდე ახალი მთავარი პროკურორი?***

— ეს შოთაძისთვის ერთგვარი ლუსტრაციაც იქნება. უკვე გაისმა, რომ თუ ვერ დაამტკიცებს ამ ბრალდებას ელისაშვილი, მაშინ მან უნდა აგოს პასუხიო. ამ ბრალდების საფუძვლიანობის მტკიცება იქნება, თუ არავინ დაისჯება. ეს იქნება კლასიკური სიტუაცია, როდესაც სოლომონ ბრძენთან ორი მომჩივანი მივიდა და სოლომონ ბრძენმა ორივეს უთხრა: შენც მართალი ხარ და შენც. მესამემ თქვა, როგორ შეიძლება ორივე მართალი იყოსო, სოლომონმა მესამესაც უთხრა, შენც მართალი ხარო.

***— მოვლენები ასე განვითარდება?***

— დიახ. მე ვფიქრობ, რომ ამ საქმის ფინალი სწორედ ეს არის. არც ელისაშვილს არავინ აგებინებს პასუხს და არც პროკურატურა იტყვის, რომ ვილაცამ მართლა აიღო ქრთამი, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ციხებზე უარესი სკანდალი მიიღოს, რადგან პოლიტიკურ ელიტას, პრეზიდენტს, პრემიერს შეეძლო ეთქვა, რომ მათ არ იცოდნენ, რა ხდებოდა ციხეში, რომ მათი ბრძანება არ იყო ციხების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში ადრესატები, როგორც ელისაშვილი ამბობს, არიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც ხელისუფლებას უშუალოდ წარმოადგენენ და ვერ იტყვიან, ეს ჩვენ არ ვიცოდითო.

# მაისაია: „ელისაშვილმა ბოდიში მოგვიხადოს“

გულიკო ბალაძე

**ყოფილი პოლიტპატიმარი ვახტანგ მაისაია და შეწყალების კომისიის წევრი მეტრეველი ბოდიშის მოხდას მოითხოვენ ალეკო ელისაშვილისაგან, რომელმაც გამოთქვა ვარაუდი, რომ პოლიტპატიმრების სიის შედგენისას ხელისუფლების მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირები ფულს იღებდნენ.**

— ალეკო ელისაშვილი საუბრობს პოლიტპატიმრების ამნისტიასთან დაკავშირებით კორუფციაზე, ყბადაღებული გონივრული ეჭვის საფუძველზე და არავითარი მტკიცებულებები არ მოჰყავს მისი ნათქვამის გასამყარებლად. ამიტომ მისი ეს განცხადება პოპულისტურია და უპასუხისმგებლო დეკლარაციას წარმოადგენს, — აცხადებენ ვახტანგ მაისაია და ია მეტრეველი.

***— ბატონო ვახტანგ, რაში უნდა დასჭირვებოდა ალეკო ელისაშვილს პოპულისტური და უპასუხისმგებლო განცხადების გაკეთება?***

— არ ვიცი. ალეკო ელისაშვილი არის ჩვენი მეგობარი, რომელთან ერთადაც ჩვენ 9 წლის განმავლობაში ხმალამოღებული ვებრძოდით ავტორიტარულ რეჟიმს და მშვიდობიანი გზით დავამარცხეთ. როდესაც ასეთი ადამიანის მხრიდან კეთდება ასეთი უაპელაციო განცხადებები, არასერიოზული ქმედება და ჩირქის მოცხებაა იმ 200 ადამიანისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ, ვინც ეს ყველაფერი საკუთარ ზურგზე იწვნია.

***— შეიძლება კონკრეტული ფაქტები აქვს.***

— მაშინ უნდა თქვას, რა ფაქტები აქვს. განცხადებას გონივრული ეჭვის საფუძველზე აკეთებს. თუ მას კონკრეტული ფაქტები და არგუმენტები არ აქვს, მაშინ ბოდიში უნდა მოუხადოს იმ ადამიანებს, რომელთა მიმართ უსაფუძვლო განცხადებები გააკეთა გონივრული ეჭვის საფუძველზე.

***— ალეკო ელისაშვილი პოლიტიკური სპეკულაციის პროცესშია ჩაბმული?***

— არ ვიცი. არც მინდა ვიფიქრო, რომ ალეკო სპეკულაციურ პროცესშია ჩართული. იმედი აქვს, უნებლიეთ მოხდა ეს. არ ვამბობ, რომ პოლიტიკური სპეკულაცია მისგან მოდის. ამ თემას ზოგიერთი პოლიტიკურად ანგაჟირებული ძალა საკუთარი დანაშაულობების გადასაფარად იყენებს. საუბარია ნაცმოძრაობაზე, რომელიც დამნაშავე ძალაა და ბრალი მიუძღვის ადამიანების დახვრეტასა და გაუპატიურებაში.

***— ალეკო ელისაშვილის განცხადებებს რაიმე საფუძველი არ შეიძლება ჰქონდეს?***

— მან თქვა, რომ გონივრული ეჭვის საფუძველზე აკეთებს განცხადებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია ფაქტები.

***— თქვენც იყავით ხომ იმ სიაში?***

— დიახ, მაგრამ მხოლოდ ჩემზე არ არის საუბარი. თუ მას გააჩნია კონკრეტული ფაქტები, უნდა წარმოადგინოს.

***— ციხეში ყოფნისას თქვენ მიმართ ზეწოლის რა მეთოდები გამოიყენეს?***

— ჩემ მიმართ გამოიყენეს დახვრეტის იმიტაცია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, გამოიყენეს ფსიქოტროპული ტიპის ნივთიერებები, რომ-



ლებიც აკრძალულია საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრაქტიკის მიხედვით.

***— ფსიქოტროპულ ნივთიერებებს გალევინებდნენ?***

— დიახ, ეს უკვე დადასტურებული ფაქტია. ამის თაობაზე თბილისის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, დაიკითხა 30-ზე მეტი ადამიანი. სამწუხაროდ, პოლიტიკური ნებისა თუ უნებობის გამო, საქმე ბოლომდე არ მივიდა, როგორც სხვა მსგავსი საქმეები, რაც პროკურატურის ყველაზე დიდი დანაშაულია.

***— საქმე დაიხურა თუ გამოძიება დაუსრულებლად გრძელდება?***

— საქმის გამოძიება გაჩერებულია ზემდგომი პირების მითითების საფუძველზე. ვიცი, ვინც დგანან ამის უკან.

***— ვინ დგანან, ისინი არიან მთავარი მოქმედი პირები ამ ხელისუფლებაში?***

— კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ის თანამშრომლები არიან, რომლებიც აწარმოებდნენ უკანონო ქმედებებს არა მარტო ჩემ მიმართ, არამედ სხვა პატიმრების წინააღმდეგაც.

***— დღეს სად არიან ეს პირები?***

— დღესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლები არიან.

***— როგორ, ეს პირები კიდევ მუშაობენ?***

— დიახ, ზოგიერთი დააწინაურეს ძალოვან სტრუქტურებში. მათ ხელისუფლების მაღალი დონის პოლიტიკური თანამდებობის პირები მფარველობენ.

***— ვინ არიან ისინი? ისე უჭირთ კადრები, რომ ეს ადამიანები ვერ გაუშვეს?***

— ეს უნდა ჰკითხოთ ბატონ მინდია ჯანელიძეს და სხვა პირებს.

***— კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი?***

— სწორედ მინდია ჯანელიძე არის ერთ-ერთი, რომელიც დასახელებულ პირებს მფარველობს.

— მინდია ჯანელიძეს ვინ მფარველობს?

— არ ვიცი. ეს კითხვა რიტორიკის დონეზე დავტოვოთ. საზოგადოებამ თვითონ გამოიტანოს დასკვნა.

— რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას?

— შედეგი უკვე მოჰყვა. უკვე არაერთი პირის მიმართ წარმოებს ცილისმწამებლური კამპანია. თუნდაც ახლანდელი აჟიოტაჟი ამის გამოხატულებაა.

## მიხეილ სააკაშვილი: „მე პრეზიდენტობისას მიტინგი არასდროს დამირბევია“



საქართველოს ექსპრეზიდენტისა და უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მას საქართველოში მიტინგი არასდროს დაურბევია და ქუჩაში არეულობის დროს „მხოლოდ ერთხელ მიიღო ზომები“.

ამის შესახებ სააკაშვილმა აშშ-ის რადიოსადგურ „თავისუფლება//თავისუფალი ევროპის“ რუსულენოვანი სამსახურის „რადიო სვობოდას“ ეთერში (კიევის სტუდია, პროგრამა „გზა თავისუფლებისაკენ“) გამოსვლის დროს განაცხადა.

**მიხეილ სააკაშვილი:**

— მე არა მარტო საქართველოში მომხდარი პოლიტიკური პროცესების მონაწილე ვიყავი, არამედ ვარ ლიდერი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური პარტიისა, რომელიც, გამოკითხვების თანახმად, ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს, პატიოსნად გაიმარჯვებდა და მთავრობას ჩამოაყალიბებდა. გარდა ამისა, ჩემი პრეზიდენტობის პირველ პერიოდში, როცა მასობრივი აქციების დროს თბილისის ქუჩებში წესრიგი დავამყარეთ, მე გადავდექი (მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეები ამას არ ითხოვდნენ) და ვადამდელ არჩევნებში კვლავ გავიმარჯვე.

კიევის მაიდანის დრო ვიქტორ იანუკოვიჩი გაჰყვიროდა, აი, მიხეილ სააკაშვილმაც ხომ დაარბია მიტინგიო. მე არ დამირბევია, მხოლოდ ერთხელ მივიღე ზომები (თუმცა, უკრაინისაგან განსხვავებით, საქართველოში არავინ დაღუპულა) და გადავდექი. ვიქტორ იანუკოვიჩსაც რომ ასე გაეკეთებინა, ისტორია სხვაგვარად განვითარდებოდა, თუმცა მეეჭვება, რომ მასაც ჩემსავით ისევ აირჩევდნენ.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ღარიბაშვილი: „პატრიარქს არავის ფუნქცია არ სჭირდება“

პრემიერ-მინისტრი პატიმართა შეწყალების საკითხზე პატრიარქის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საუბარი მხოლოდ შეწყალების პროცესში უწმინდესობის ჩართულობის გაზრდაზე იყო.

როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ადამიანებმა, რომლებმაც საკითხის ირგვლის აჟიოტაჟი ხელოვნურად შექმნეს, მათი მიზანი საპატრიარქოს ინსტიტუტზე და მთავრობაზე თავდასხმა იყო.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

— ლამის დაგვწამეს სახელმწიფო დანგრევა იმ დღეს. დაგვაბრალეს ანტისახელმწიფოებრიობა და ა.შ. იმ ადამიანებმა, რომლებმაც არ იციან რა არის სახელმწიფო ან სამშობლო, მაგრამ ეს გასაგებია ჩვენთვის.

უბრალოდ საწყენია, ეს ადამიანები საცოდავები არიან, რომლებიც მიზეზს ეძებენ, რომ თავდასხმა გააკეთონ, იქნება ეს პატრიარქის ინსტიტუტი, პატრიარქის პიროვნება თუ მთავრობა, ჩემზე აღარ არის საუბარი.

ჩვენზე მიზეზები არ სჭირდებათ, ისედაც გვესხმიან თავს, ამას შეჩვეულები ვართ.

პრემიერი აღნიშნავს, რომ შეწყალების პროცესში საპატრიარქოს როლის გაზრდა ანტისახელმწიფოებრიობას არ ნიშნავს და ამ თემის გარშემო აჟიოტაჟის შექმნა მისთვის გაუგებარია.

მთავრობის მეთაურის თქმითვე, პატრიარს ფუნქცია არ სჭირდება, მითუმეტეს არავის დაცვა არ სჭირდება.

ირაკლი ღარიბაშვილი:

— ჩემი განცხადებაც თუ ნახეთ, ვფიქრობ, იქ ყველაფერი წესრიგში იყო. მე იმაზეც მივანიშნე, რომ ეს საკითხი არის დარეგულირებული კონსტიტუციით. შეწყალების კომისიაში ჩართულია საპატრიარქოს წარმომადგენელი, ერთ-ერთი ეპისკოპოსი.

მოვისმინე რა პატრიარქის ემოციური მიმართვა, რა თქმა უნდა, მეც გამიჩნდა ემოციური მოთხოვნილება, რომ მიმემართა კანონმდებლებისთვის და პრეზიდენტისთვის, რომლის უშუალო ფუნქცია არის სწორედ შეწყალება, რომ განეხილათ ისედაც ჩართული საპატრიარქოს როლის გაზრდა ამ პროცესში.

აქ რა იყო გაუგებარი ან ანტისახელმწიფოებრივი არ მესმის. ეს არის უბრალოდ მიზეზი. კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა და გავაშიშვლეთ ეს ადამიანები, რომლებიც თავს დაგვესხნენ ჩვენ ყველას. დაწყებული საპატრიარქოთი — მთავრობაზე აღარ ვსაუბრობ.

მე უბრალოდ მაინტერესებს, ამდენი სიძულვილი და აგრესია საიდან დაუგროვდათ ამ ადამიანებს. რა იყო აქ გაუგებარი, გაქვთ შეკითხვა რომელიმე მინისტრს, არავინ არა ითხოვდა კანონის შეცვლას, მითუმეტეს კონსტიტუციის შეცლას, ეს რალაც საოცარი აბსურდია. აბსდურდის თეატრში ვხცოვრობთ და ააგორეს თემა, თითქოს ვილაცას რალაც ფუნქციას ვართმევთ. პატრიარქს არავის ფუნქცია არ სჭირდება, მითუმეტეს არავის დაცვა არ სჭირდება.

* * *

რამდენიმე დღის წინ საქართველოს საპატრიარქომ პატრიარქის მიერ პატიმრების შეწყალების ინიციატივასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ ილია მეორემ პატიმრების დახმარების სურვილი გამოხატა და ამ წინადადების საკანონმდებლო დონეზე განხილვა არ მოუთხოვია.



მანამდე კი განცხადება მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურმა გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ პრემიერ-მინისტრი პატრიარქის თხოვნის შესასრულებლად პრეზიდენტს და პარლამენტს მსჯელობის დაწყებას სთხოვს.

**ნიუსპრესი**

# სერგო რატიანი: „ბიძინა ივანიშვილს ნაციონალების საუბრების გამოქვეყნება ვერ გადაარჩენს“

## „ხელისუფლების გარდა, სხვა მტერი არ გვყავს“

ნონა ცაბაძე



**ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ განვითარებული ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი აფასებს.**

დეპუტატი დედოფლისწყაროს რაიონში მათი ოფისის დაცხრილვის ფაქტს ეხმიანება და აცხადებს, რომ საქმე უკვე ტენდენციასთან აქვთ.

***– რა ტენდენციაზე საუბრობთ?***

– რამდენიმე ხნის წინ ჩვენს 63 ოფისზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთდროულად მოხდა თავდასხმა. ორგანიზებული თავდასხმა ერთდროულად თუ ხდება და თუ ამას აკეთებს ვიღაც სხვა, მაშინ ჩვენ ხელისუფლება აღარ გვყავს. თუმცა უფრო ახლოს არის ვერსია, რომ ეს არის ხელისუფლების მიერ დაგეგმილი.

***– რატომ თვლით, რომ ამის უკან ხელისუფლება დგას?***

– ყველამ კარგად იცის, რომ პრემიერმა გაამართლა ეს პროცესი და განაცხადა, რომ ის გამოხატვის თავისუფლებას დაიცავს. ამის შემდეგ რას ვხედავთ ჩვენ – დედოფლისწყაროში, სადაც პრემიერის უახლოესი ნათესაობა, თამაზაშვილები არიან, იქ ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყო სიტუაცია დაცული. ეს არის ან საერთოდ ხელისუფლების მოშლა, ან ეს არის კარგად დაგეგმილი, ან არის გარემო, სადაც ავტომატებით დადიან და სადაც შესაძლებელია, სხვას ესროლო. ეს გარემო შექმნა ხელისუფლებამ! ყველას კარგად ახსოვს, საიდან იწყება ეს თავდასხმები.

***– საიდან?***

– იწყება მაშინ, როდესაც ენდიაიმ გამოაქვეყნა კვლევა, სადაც ნაციონალური მოძრაობა, სამი წლის თავზე, არის პირველ ადგილზე და იგებს არჩევნებს.

***– მართლა გჯერათ, რომ არჩევნებს მოიგებთ?***

– ბუნებრივია, ეს არ არის საკმარისი. სამუშაო გაცილებით ბევრია, უფრო მეტი უნდა ავუხსნათ ხალხს. მეტი გზავნილები უნდა მივიტანოთ ამომრჩევლამდე. ნაცვლად იმისა, რომ გადავიდეთ წყნარ რეჟიმში, რას აკეთებს ხელისუფლება?!

***– ასეთს რას აკეთებს?***

– ერთი მხრივ, ესხმის ოპონენტებს და მეორე მხრივ, იწყებს ზეწოლას რუსთავი 2-ზე და თავისუფალ მედიაზე. რადგან მათ დაინახეს, რომ თავისუფალ და სამართლებრივ გარემოში მოგება მათთვის არის შეუძლებელი. ამიტომ მათ აირჩიეს ეს გზა, მაგრამ ეს გზა არის გზა სამოქალაქო დაპირისპირებისკენ. თუმცა ჩვენ მივდივართ დაგეგმილად და გვაქვს პირდაპირი მითითება, რომ არანაირ პროვოკაციას არ აყვნენ.

***– თუმცა ხელისუფლება ამბობს, რომ თქვენი ოფისების დარბევა წამების ამსახველ კადრებს მოჰყვა და არა – ენდიაის რეიტინგებს.***

– რას მოჰყვა და რას არ მოჰყვა, მაგაში კი არ არის საქმე.

***– აბა რაშია?***

– ჯერ ერთი, ის კადრებიც არის დაკავშირებული მათთან. სწორედ ისინი ცდილობენ სიძულვილის ენის გავრცელებას, სადაც ასოციაციობანაზე თამაშობენ. ყველამ კარგად იცის, რომ როდესაც ის კადრები გამოქვეყნდა, საერთოდ არავინ დაუჭერიათ, პირიქით, თანამშრომლობენ ადამიანებთან, ვინც წინა წლებში ადამიანებს აწამებდნენ და შემდეგ ეს ყველაფერი უნდათ ასოციაციურად მიაბან ნაციონალურ მოძრაობას.

***– არ გეკისრებათ ამაზე პასუხისმგებლობა? ეს ხომ თქვენი მმართველობის პერიოდში ხდებოდა?***

– გადახედეთ, ვინ წარმოადგენს ნაციონალურ მოძრაობას, მათ ჩვენთან სამართლებრივი ბრძოლა წაგებული აქვთ. არც ერთი ასეთი ბრალდება პირდაპირ არ მიდის კონკრეტულ პირებამდე, ეს არავის ეხება. ხვდებიან, რომ ეს ბრძოლა წაგებული აქვთ, ახლა თამაშობენ ასოციაციობანას, აღვივებენ შუღლს, სიძულვილს და შემდეგ ამ თავდასხმებსაც თვითონ გეგმავენ. ერთდროულად 63 თავდასხმა ორგანიზებული რომ არის და ვიღაცა რომ დგას ამის უკან, აქ კითხვის ნიშანი არ არის.

***– ცოტაა ნაციონალებზე გაბრაზებული, იქნებ ხელისუფლება არაფერ შუაშია?***

– ჩვენ სხვა მტერი არ გვყავს. ხელისუფლების გარდა, ჩვენი მტერი არის რუსეთი. მაშინ ასე ვთქვათ, რომ ამას რუსეთი აკეთებს და დღევანდელი მთავრობა ბუზებს ითვლის. სხვა ლოგიკა არ არსებობს. კარგი, ვიღაცა გაბრაზებულია და პირი შეკრეს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთდროულად დაარბიეს ჩვენი ოფისები?!

***– მიგაჩნიათ, რომ ეს მიზანმიმართული პროცესია?***

– რასაკვირველია, მიზანმიმართული პროცესია, მაგრამ ეს მათ ვერ უშველის! დედამიწის მიზიდულობის ძალა უნივერსალური პროცესია. როგორც აგდებულ ქვას ვერაფერი შეაჩერებს და ის მიწაზე დაეცემა, ასევე ხელისუფლებას ნებისმიერ დემოკრატიულ სამყაროში აქვს დასაწყისი და დასასრული. ხელისუფლება, რომელიც უბრალოდ არაფერს აკეთებს და ყოველი წელი არის უფრო მძიმე, ვიდრე წინა წელი, 4 წლის შემდეგ აგებს არჩევნებს. ეს არის უუნარო ხელისუფლება.

***– რატომ არის უუნარო?***

– იცით, რასთან შედარებით არის უუნარო? წინა წლების აღმშენებლობასთან შედარებით! ასევე დღეს ჩვენთან დებატებში არის უუნარო! აი, ეს არის უუნარობა! ამიტომ არის, რომ დღეს, ყველა მონაცემით, ნაციონალური მოძრაობა არის პირველ ადგილზე და ჩვენ ამ წარმატებას ვერ მოგვპარავენ.

***– ნურც ის შეფასება დაგავიწყდებათ საზოგადოების მხრიდან, რომ ეს ხელისუფლება დემოკრატიულია, თქვენ კი სისხლიანი რეჟიმი იყავით.***

– ფაქტი რომ სულ სხვას გვეუბნება?! რაში გამოიხატება მათი დემოკრატობა?! დღეს არიან პოლიტპატიმრები. დღეს არიან სინდისის პატიმრები და ყველა თანხმდება, რომ ეს ბიჭები, რომლებიც ქუთაისში დაიჭირეს, დაჭერილები არიან შერჩევითი სამართლით.

ეს ბიჭები ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობისთვის არიან დაჭერილები. პროკურატურაც კი ვერ ამბობს, რომ აქ ფიზიკური შეურაცხყოფაა. რა დემოკრატობაზე მელაპარაკებით! ნაციონალური მოძრაობის 22 წევრია პროკურატურაში ნამყოფი და ზოგი 30-40-ჯერ არის მისული.

არიან პოლიტპატიმრები, გვყავს სინდისის პატიმრები, დაწყვილებულები არიან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსეთთან, საყოველთაო მოსმენები ხდება და ეს არის მეტი დემოკრატია?! ერთი კომპონენტი მაინც მითხარით, რითი არიან ჩვენზე უფრო დემოკრატები?!

***– ბატონო სერგო, 22 პოლიტპატიმარზე საუბრობთ და რატომ გავიწყდებათ, რომ ამ ხელისუფლებამ 200 პოლიტპატიმარი შეიწყალა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა. 22 მეტია თუ 200?***

– ამ 200 პატიმარზე ჯერ მაშინ ლაპარაკობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომ ეს არიან არანორმალურად და არაობიექტურად შერჩეული პატიმრები და დღეს ლაპარაკია იმ პროცესში ფულის აღებაზე! ვინ იყო პოლიტპატიმარი – სტრილიკოვი? ის საერთოდ საქართველოს მოქალაქე არ ყოფილა, როგორ შეიძლება ყოფილიყო პოლიტპატიმარი! ან ექსტრემისტები იყვნენ პოლიტპატიმრები?! დღეს კი ირკვევა, რომ ფულია აღებული!

***– ამაზეც გედავებიან, რომ ეს ცილისწამება თქვენგან, ნაციონალებისგან მოდის, რათა პროცესის დისკრედიტაცია მოახდინოთ და არ აღიაროთ, რომ პოლიტპატიმრები გყავდათ.***

– ჩვენგან როგორ მოდის? თავიდან ამაზე ჩვენც ვლაპარაკობდით, მაგრამ დღეს ამაზე ალეკო ელისაშვილი საუბრობს. რა, ალეკო ელისაშვილი ჩვენიანია?! ჩვენ მთავარი ოპოზიციური ძალა ვართ, მაგრამ ამაზე სხვებიც საუბრობენ.

***– ბევრი მიიჩნევს, რომ ელისაშვილი თქვენს ინტერესებს ატარებს.***

– კარგით, რა! თავისუფალი დემოკრატების წევრები რომ დააკავეს, ისინიც ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ?! კაბელების საქმეზე რომ დააკავეს.

***– გასულ კვირას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ჩანაწერებს, სადაც ნაციონალური მოძრაობის შიდა სამზარეულო იქნა გამომზეურებული. რა ხდება ნაციონალებში? რამდენად მძიმე წელი იქნება თქვენთვის 2016? მიაღწევთ არჩევნებამდე?***

– ბიძინა ივანიშვილს ასეთი პირადი ჩანაწერების გამომზეურება ვერ გადაარჩენს! მეტსაც გეტყვით, როდესაც ასეთ რამეზე მიდის ხელისუფლება, ის ძალიან სწრაფად ამთავრებს! დღეს ხელისუფლება ღიად შემოდის ჩვენს პირად საუბრებში, ჩვენს ოჯახებში, ჩვენს საპირფარეშოებში და გვითვალთვალებს. ეს არის სრული ეროზია და ჩამოშლა! ამის შემდეგ ხელისუფლებები დიდხანს ვერ ძლებენ ხოლმე. ეს აჩვენებს სერიოზულ კრიზისს, რომელიც აქვს ხელისუფლებას.

***– თქვენ შიგნით არსებულ კრიზისზე რატომ არაფერს ამბობთ? არ არის კრიზისი ნაციონალებში?***

– საპირფარეშოებში თვალთვალი მაგ საქმეს ვერ გადაარჩენს. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ჩვენ ვიცით, რა გვაერთიანებს, რისთვის ვიბრძვით და რას ვაშენებთ. ამიტომ, ეს ჩვენთვის პრობლემა არ არის. საერთოდ, პირად საუბარს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

***– ანუ გუნდში განხეთქილება არ არის?***

– გმადლობთ, აქ დავასრულოთ!

# სირიაში საბრძოლველად კავკასიელი ახალგაზრდების გადაბირება გრძელდება

მარიამ მჭედლიშვილი

**იმ დროს, როცა რუსეთის და აშშ-ს ანალიტიკოსები აქვეყნებენ მონაცემებს იმის შესახებ, რომ ისლამურ სახელმწიფოს პანკისის ხეობაში სერიოზული საყრდენი ჰყავს, სერიოზული პროცესები მიმდინარეობს საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში. გამუდმებული კონტრტერორისტული ოპერაციების მიუხედავად, დაძაბულობის კერები ისევ არსებობს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან.**



ჩრდილოეთ კავკასიის წყაროების ცნობით, სირიაში ხალიფატის მხარეზე საბრძოლველად გრძელდება ახალგაზრდების გადაბირება.

დსთ-ს ქვეყნებიდან სირიაში საბრძოლველად 7.000 კაცამდეა წასული. რუსეთის მოქალაქეების მიმართ ამის გამო 650 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ხალიფატის რიგებს ბევრი კავკასიელი ავსებს. მათი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა და სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადდა. ასეთებს სასჯელი არ ემუქრებათ, სხვებს კი პასუხისგება მოუწევთ.

დაღესტნის პროკურორის, აბდულრაშიდ მაგომედოვის ინფორმაციით, სირიაში დაახლოებით 900 დაღესტნელია წასული. მათი უმრავლესობა – ოჯახებით. მისი თქმით, შვილები მათ ფსევდორელიგიური მოსაზრებების გამო გაწირეს.

პროკურორი აღიარებს, რომ დაღესტანში კიდევ არსებობს დაძაბულობის კერები. ამ მხრივ განსაკუთრებით რისკების შემცველი სამხრეთ დაღესტანია.

ჩეჩნეთში მიმდინარეობს სასამართლო, რომელიც იხილავს 19 წლის შამილ ვახაევისა და 21 წლის ილეს ტუტაევის გადაბირების საქმეს. გროზნოს სასამართლომ დაადგინა, რომ ისინი არასწორ გზაზე ვინმე აბუ-უბეიდმა დააყენა. მათი ურთიერთობა სოციალური ქსელებით შედგა. მისი ნამდვილი ვინაობა დგინდება.

ცოტა ხნის წინ ჩეჩნეთისვე სასამართლომ 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ბულატ ემიევს, რომელიც სირიაში იბრძოდა. უფრო მეტი – 5 წელი შეეფარდა 19 წლის არბი დიკაევს, რომელიც სირიაში საბრძოლველად მიემგზავრებოდა.

კავკასიელთა ნაწილი კავკასიიდან ახლო აღმოსავლეთში თურქეთის გავლით ჩადის. ნაწილი კი – ევროპის ქვეყნებიდან. ევროპაში იმავე ჩეჩნების უმრავლესობა ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს. წასვლამდე მათ იდეოლოგიურად ამუშავებენ. ყოფილა შემთხვევები, რომ კავკასიელები სირიაში საუდის არაბეთიდანაც მოხვედრილან, სადაც მოსალოცად იმყოფებოდნენ.

– გვინდა გავიგოთ, საიდან ვრცელდება ეს იდეოლოგია, – აცხადებს დაღესტნის პროკურორი.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ვიდეორგოლი, რომელიც ასახავს ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების მიერ ერთგულების ფიცის დადებას ისლამური სახელმწიფოს ლიდერ ალ-ბაღდადის მიმართ, პროპაგანდისტული ხასიათისაა. მისი მიზანია მომხრეების მოზიდვა.

ამ ფიცის დადების შემდეგ კავკასიაში შეიქმნა ისლამური სახელმწიფოს ვილაიეთი. როგორც ითქვა, მასში მთელი კავკასია მოიაზრება, თუმცა, ამ ეტაპზე ხალიფატი კავკასიაში ომს არ აპირებს.

საქართველოს საშიშროება სხვა მხრიდანაც ელის: იმის გათვალისწინებით, რომ გახშირებულია საუბრები პანკისის ხეობაზე, რუსეთმა შეიძლება იქ რაიმე ოპერაცია წამოიწყოს. ამერიკელ ანალიტიკოსებზე დაყრდნობით კეთდება განცხადებები იმის თაობაზე, რომ ხალიფატს ერთგული ქვეშევრდომები პანკისში ამჟამად მცხოვრებლებს შორისაც ჰყავს.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნოდარ ხადურმა გიორგი ქადაგიძეს მადლობა გადაუხადა

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, მომავალი წლისათვის გაცვლით კურსთან დაკავშირებით უცხოელ სპეციალისტებსა და მაკროეკონომისტებს საკმაოდ საინტერესო პროგნოზები აქვთ.



— მომავალი წლისთვის გაცვლითი კურსის პროგნოზისგან თავს შევიკავებ, თუმცა საკმაოდ საინტერესო პროგნოზები აქვთ უცხოელ სპეციალისტებს, უცხოელ მაკროეკონომისტებს, კომერციულ სტრუქტურებთან მომუშავეებს.

ამას წინათ საქართველოს ბანკის ღონისძიებაზე ერთ-ერთი ექსპერტი იყო ჩამოსული. მომავალი წლისათვის ლარის გამყარებას ის დაახლოებით 10%-ით ელოდება. ვნახოთ, რა იქნება, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა პარლამენტის 11 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე.

ხადურმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გიორგი ქადაგიძეს პარლამენტის ტრიბუნიდან ლარის გაცვლით კურსთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო მადლობა გადაუხადა.

— გავიმეორებ გიორგი ქადაგიძის სიტყვებს, რომ ლარის გაცვლით კურსთან დაკავშირებით ბიუჯეტი იყო ნეიტრალური და ბიუჯეტს ზეგავლენა არ მოუხდენია. ეს დღეს ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რისთვისაც მას მადლობას ვეტყვი, — განაცხადა ხადურმა.

ხადურის გამოსვლამდე ქადაგიძემ ასეთი რამ თქვა:

— წელს, როგორც არასდროს, თანაბარი ხარჯვა ჰქონდა ბიუჯეტს განსხვავებით 2013-14 წლებისგან. ამიტომ 2015 წელს ფისკალურ ნაწილში ბიუჯეტი იყო ნეიტრალური.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლარის კურსსაც შეეხო.

— როგორც არაერთხელ აღვნიშნე, იქნება მოკლევადიანი მერყეობები, რაც დამახასიათებელია მცურავი გაცვლითი კურსისთვის, მაგრამ დამატებით ზეწოლას, სხვა თანაბარ პირობებში ჩვენ არ ველოდებით, — განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

**ბიპიენი**



# აქციზის ზრდა თამბაქოს გააძვირებს

„ჯაფან თაბაქო ინთერნეიშენალის" კორპორატიულ საკითხთა მენეჯერის, ივა ხასიას აზრით, აქციზის გადასახადის ზრდა თამბაქოს ფასის ზრდას გამოიწვევს, თუმცა როდიდან და რამდენით, ძნელი სათქმელია.

როგორც ხასიამ განაცხადა, ახალი ცვლილებებით, მხოლოდ აქციზის გადასახადი 45 თეთრამდე ძვირდება, რასაც ემატება დღგ. ხასია სომხეთიდან იაფი თამბაქოს კონტრაბანდის საფრთხეზეც საუბრობს.

— დღეს რეგიონში უკვე არსებობს მნიშვნელოვანი ფასთაშორისი სხვაობა თამბაქოს პროდუქციაზე, კონკრეტულად სომხეთთან მიმართებაში, საიდანაც გვაქვს კიდევაც სამწუხარო გა-



მოცდილება, როდესაც 2005 წელს თამბაქოს პროდუქციის უკანონოდ შემოდინება ხდებოდა, — განაცხადა ხასიამ.

მისი აზრით, თუ ასეთი მასშტაბებით გაგრძელდება მომავალშიც აქციზის ზრდა, ეს საფრთხე კიდევ უფრო გამძაფრდება.

პარლამენტმა სიგარეტსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის გაზრდასთან დაკავშირებული კანონპროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა. საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები დეპუტატებმა 73 ხმით მიიღეს.

დამტკიცებული კანონპროექტი 2016 წლის 1 იანვრიდან აქციზის ფიქსირებული განაკვეთის ზრდას ითვალისწინებს: ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) 0,20 ლარის ოდენობით; უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) — 0,05 ლარის ოდენობით; სიგარებზე, ერთ ღერზე — 0.4 ლარით, სიგარილებზე 20 ღერზე — 0.5 ლარით; ყალიონით მოსაწევ და საღეჭ ან საყნოს თამბაქოზე 1 კგ-ზე — 5 ლარით.

ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის პროპორციული განაკვეთი 5-დან 10 პროცენტამდე იზრდება.

**ბიპიენი**

# მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერების პენსია 216 ლარი იქნება

მომავალი წლის 1 სექტემბრიდან, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერების პენსია 216 ლარი იქნება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა.

მინისტრის განმარტებით, მომავალი წლის ბიუჯეტი მთლიანად ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული.

— ბიუჯეტის მთავარი პრიორიტეტი ადამიანზე ზრუნვა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ბიუჯეტის ხარჯების 1/3 ჯანდაცვის სამინისტროზე მოდის. ეს არის 180 ლარამდე გაზრდილი პენსია და კიდევ ერთ საინტერესო ციფრს გეტყვით — მომავალი წლის პირველი სექტემბრიდან მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერებისთვის პენსია 216 ლარი იქნება, — განაცხადა ხადურმა.

გარდა ამისა, მისივე განმარტებით, მთავრობა აგრძელებს ზრუნვას, რომ ეკონომიკა განვითარდეს.

— თითქმის მილიარდი დაიხარჯება ინფრასტრუქტურაზე. პირველად მილიარდს მიუახლოვდა განათლების სამინისტროს ხარჯებიც, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

# რუსთავის წყალმა სემეკს სასამართლოში უჩივლა

11 დეკემბერს კომპანია რუსთავის წყალმა სემეკის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

რუსთავის წყალი სემეკის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლის თანახმადაც, მარეგულირებელმა კომისიამ კომპანიის აბონენტებისთვის ქალაქ რუსთავში, გარდაბანსა და მარნეულის რაიონში წყალმომარაგების ტარიფი შეამცირა.

რუსთავის წყლის მთავარმა იურისტმა ბესიკ კობერიძემ სარჩელი 11 დეკემბერს 13:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა და სემეკის 2015 წლის 26 ნოემბრის 31 დადგენილება გაასაჩივრა.

— კომპანია რუსთავის წყალს დაუდგინდა ახალი ტარიფები. სემეკმა არასრულფასოვანი მეთოდოლოგიის გამოყენებით, არასწორი ტარიფი დაადგინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვასაჩივრებთ სემეკის ამ დადგენილებას. ანალოგიური მიზეზის გამო, გავასაჩივრეთ თბილისისა და მცხეთის წყალმომარაგების ტარიფებთან დაკავშირებული დადგენილებებიც, —




განმარტავს ბესიკ კობერიძე.

როგორც კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რუსთავის წყლის ტარიფთან დაკავშირებით, არგუმენტირებული და დოკუმენტურად დასაბუთებული პოზიციის შეჯერება სემეკთან ვერ მოხერხდა. შედეგად, ტარიფების 20%-ით შემცირებით, სემეკმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გააუარესა.

— იმის გამო, რომ რუსთავის წყალი წამგებიანი ბიზნესი გახდა, კომპანიის მენეჯმენტი იძულებულია, მართვის კრიზისულ რეჟიმზე გადავიდეს, ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება დაიწყოს და უარი თქვას არა მხოლოდ განვითარებაზე, არამედ იმ აუცილებელი პროექტების განხორციელებაზეც კი, რაც მომხმარებელთა სრულფასოვან მომსახურებას უკავშირდება, — ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

უახლოეს მომავალში კომპანია დადგება ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე, რაც კრედიტორებთან დროულ ანგარიშსწორებას მნიშვნელოვნად შეაფერხებს.

— სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, რუსთავის წყლის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ რეგულატორის კონტრარგუმენტები ვალიდურობას მოკლებულია, აქედან გამომდინარე, საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს, — ნათქვამია რუსთავის წყლის განცხადებაში.

**ბიპიენი**

# თბილისში სი-ენ-ჯი გაზზე მომუშავე 150 ახალი ავტობუსი შემოვა




მომავალი წლიდან თბილისში სი-ენ-ჯი გაზზე მომუშავე 150 ერთეული ავტობუსის შემოყვანა მოხდება.

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ 11 დეკემბერს მერიაში გამართულ „მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის" პრეზენტაციაზე განაცხადა.

დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ მავნე აირებისა და გამონაბოლქვის შემცირების თვალსაზრისით მომავალ წელი ორი პროექტით იქნება გამორჩეული. ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს მუნიციპალური ავტობუსების პარკის განვითარება. მერის განცხადებით, უკვე დასრულდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მოლაპარაკებები და დედაქალაქს 30 მილიონი ევრო გამოეყო.

— ბანკმა თბილისისთვის 30 მილიონი ევრო გამოყო სი-ენ-ჯი გაზზე მომუშავე ავტობუსების შესაძენად. 150 ერთეული იქნება შეძენილი, გამოცხადდება ტენდერი, რომელზეც მოხდება ფასების დადგენა, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

ლალი დავითური

# ზურაბ კუკულაძე: „საპენსიო ფონდი ხელს შეუწყობს საფინანსო ბაზრის განვითარებას"

## „დღეს საფინანსო სისტემა მონოპოლიზებული აქვს საბანკო სისტემას"




დღეს აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა ახალ საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მას ჰყავს მხარდამჭერებიც და ოპონენტებიც. ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ ქვეყანა ჯერ რეფორმის გატარებისთვის მზად არ არის.

არის თუ არა ქვეყანა მზად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასასვლელად, შეუწყობს თუ არა ხელს ქვეყნის საფინანსო განვითარებას საპენსიო რეფორმა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას" ესაუბრა ექსპერტი ეკონომიკის დარგში ზურაბ კუკულაძე.

***— ბატონო ზურაბ, ბევრი ოპონენტი აცხადებს, რომ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასასვლელად ქვეყანა ჯერ მზად არ არის.***

— მიკვირს ასეთი განცხადებების მოსმენა, რადგან დაგროვებითი საპენსიო სისტემა არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული მექანიზმი, თუ როგორ დავარიგოთ პენსიები, ეს არის გაცილებით კომპლექსური საკითხი და ვერავის დავეთანხმები იმაში, რომ ქვეყანა ამისთვის მზად არ არის.

საპენსიო ფონდის შექმნა არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რამაც ქვეყანაში უნდა გააცოცხლოს და წინ წასწიოს ფინანსური საქმიანობა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და როგორ შეიძლება ქვეყანა ამისთვის არ იყოს მზად!

***— საპენსიო რეფორმის გატარება ქვეყნის საფინანსო ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს?***

— საპენსიო სისტემა არის ერთგვარი საფინანსო ინსტრუმენტი, რომ განვითარდეს ქვეყანა. საუბარია, რომ ადამიანის გადასახადების ნაწილი აკუმულირდეს ფონდში, რომელსაც ერქმევა საპენსიო ფონდი და ამ ფონდიდან დაფინანსდეს ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებები, ან ჩაიდოს უტყუარ და ყველაზე მყარი საფინანსო გარანტიის მქონე ფასიან ქაღალდებში.

***— ეს რას გამოიწვევს?***

— ეს თავისთავად გამოიწვევს იმას, რომ ქვეყანაში შეიქმნება ალტერნატიული საფინანსო ბაზარი, რაც გაცილებით მეტ შანსს მისცემს ეკონომიკის განვითარებას, ვიდრე დღეს არსებული საფინანსო სისტემა.

***— საპენსიო ფონდის შექმნით საფინანსო ბაზარზე ახალი მოთამაშე გამოვა?***

— დღეს საფინანსო სისტემა მონოპოლიზებული აქვს საბანკო სისტემას. არადა, ყველა ქვეყანა განვითარდა იმიტომ, რომ გაჩნდა პირდაპირი მევახშეობის ფულის სესხების ალტერნატიული საშუალებები, რაშიც, პირველ რიგში, იგულისხმება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

ამ ფონდის შექმნა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენება არის გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, თუ რა მოდელით დავარიგებთ პენსიას.

***— ვინ უნდა განკარგოს ფონდი და რამდენად კომპეტენტური ორგანო იქნება?***

— ხელისუფლებამ და სპეციალისტებმა უნდა გამონახონ ისეთი სექტორები, რომლებიც იქნება მომგებიანი და წარმატებული. ეს ფული არ შეიძლება რისკიან აქტივებში ჩავდოთ, ეს უნდა იყოს ერთგვარი შიდა საინვესტიციო ფონდი. ამაზე მოგიყვანთ კარგ მაგალითს — მსგავსი აქტივები ჩააბარა სახელმწიფომ საპარტნიორო ფონდს და საპარტნიორო ფონდი შესანიშნავად მუშაობს.

შეიქმნას მსგავსი მოდელი, რომელიც მოახდენს შიდა საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას და ამით ერთი მხრივ ეკონომიკა განვითარდება, და მეორე მხრივ, მოგება დაერიცხებათ იმ ადამიანებს, ვინც საპენსიო ფონდში მიიღებს მონაწილეობას.

***— როგორ მოხდება საპენსიო ფონდის დაცვა ინფლაციისგან, ლარის დევალვაციისგან და ა.შ.?***

— დღეს არის ქვეყანაში დაგეგმილი ინფლაცია 5%, რეალური 6,3% და ზუსტად ეს უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ ორგანიზაციამ, რომ ეს ფული ისე განკარგოს, რომ როდესაც დასარიგებელი იქნება, იყოს გაცილებით მეტი, ინფლაციისგან დავიცვათ. ხაზგასმით ვამბობ, თანხა ნებისმიერ საბანკო დეპოზიტზე რომ დავდოთ, ინფლაციისგან მაინც დავიცავთ.

ფინანსური ბაზრების განუვითარებლობამ მიგვიყვანა დღეს იქამდე, რომ ეკონომიკა მთლიანად დაკიდებულია საბანკო სისტემაზე. ასეთ პირობებში უფრო ადვილად ხდება ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი მსხვილი საფინანსო ბაზრები იქნება განვითარებული. მსგავსი რისკები მინიმუმამდე შემცირდება, თუ განვითარდება ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

***— საბანკო სექტორი მხარს უჭერს საპენსიო ფონდის შექმნას?***

— მთავარია ამ მოდელით სწორი საფინანსო ფონდების შექმნა. მთავრობამ მარტივად არ უნდა წაიღოს და არ უნდა დადოს ეს თანხა ბანკში დეპოზიტზე. საუბარია იმაზე, რომ ერთიანი კონტექსტით განვითარდეს საფინანსო ბაზარი.

კაპიტალის ბაზარი უნდა გახდეს გაცილებით მოქნილი, რომ ეკონომიკას მიეწოდოს უფრო მარტივი და სწორი ფული, ვიდრე ამას დღეს აკეთებს საბანკო სისტემა. ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და ეს ფული არ უნდა მოხვდეს ისევ საბანკო სექტორში, რომ კიდევ უფრო არ გაძლიერდეს საბანკო სექტორი საფინანსო ბაზარზე.

# პროკურატურამ დავით ახალაია, გიგი კალანდაძე, მეგის ქარდავა და რომან შამათავა პასუხისგებაში მისცა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***

– თუ რატომ სთხოვდნენ ელბერტ კობერიძეს, ეღიარებინა არარსებული ტერორისტული აქტის განხორციელება, უცნობია და ეს მოტივები საინტერესო იქნება, თავად გიორგი კალანდაძემ, დავით ახალაიამ და სხვებმა დაასახელონ, – განაცხადა 11 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე პროკურატურის წარმომადგენელმა კოკა კაციტაძემ.

მისი თქმით, კობერიძეს აწამებდნენ ერთადერთი მოთხოვნით, რომ ეღიარებინა არარსებული ტერაქტის განხორციელება, თუმცა, მათ არანაირი ოპერატიული ცნობა ამის შესახებ არ გააჩნდათ.

– მას უნდა ეღიარებინა, თითქოს ზუგდიდში აპირებდა ტერორისტული აქტის მოწყობას. თუმცა ამასთან დაკავშირებით მათ არ გააჩნდათ ოპერატიული ცნობა, სამართლებრივი დოკუმენტი შედგენილი არ იყო და არც დღევანდელი გამოძიებით არის დადგენილი, რომ ელბერტ კობერიძე რამის ჩადენას აპირებდა, – განაცხადა კაციტაძემ.

მისივე თქმით, არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფთან და არც ერთ პოლიტიკოსთან კობერიძეს შეხება არ ჰქონია და ის იყო ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც ცხოვრობდა სამეგრელოს რეგიონში.

– თუ რატომ გააკეთეს ეს, ამის დასადგენად მიმდინარეობს გამოძიება. ეს მოტივები საინტერესო იქნება, რომ დაასახელონ თავად გიორგი კალანდაძემ, დავით ახალიამ და სხვებმა, თუ ისინი გამოცხადდებიან გამოძიებასთან, – განაცხადა კაციტაძემ.

მისივე თქმით, დავით ახალაია არის ძებნაში, გიორგი კალანდაძეს დატოვებული აქვს ქვეყნის ტერიტორია, ამჟამად ძებნილი არ არის და დაუსწრებლად წარედგინება ბრალდება, რომან შამათავა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე იხდის სასჯელს და მას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გააცნობენ ბრალდების დადგენილებას, გიორგი სამუშია არის დაკავებული და მეგის ქარდავა ასევე ძებნაშია.

როგორც კაციტაძე აცხადებს, სამხედრო პოლიციის იმ ოთახში, სადაც კობერიძე აწამეს, აღმოჩენილია სისხლის ლაქები, რომლის დნმ-იც ემთხვევა ელბერტ კობერიძის სისხლის დნმ-ს. კაციტაძის თქმით, კობერიძესთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რის შედეგადაც 2012 წლის 8 ოქტომბერს ის პატიმრობიდან გათავისუფლდა.

***

პროკურატურის განცხადებას თავად ელბერტ კობერიძეც გამოეხმაურა.

– რაც თქვენ გაიგეთ დღეს, ეს არის 100%-იანი, – განაცხადა მან და დასძინა, რომ ყველაფერი პროკურატურის განცხადებაშია მოყოლილი.

– ყველაფერი არის სიმართლე. დამანებეთ თავი. რაც გინდათ, ყველაფერი პროკურატურის განცხადებაშია მოყოლილი, იქ არის ჩაწერილი და იქ გაიგებთ ყველაფერს. მე არ მინდა ინტერვიუების მიცემა. რაც თქვენ გაიგეთ დღეს, ეს არის 100%-იანი, – განუცხადა კობერიძემ რუსთავი 2-ს.

***

– ბრალი მოგონილია და როგორც დათა ახალაია, ასევე მასთან ერთად ბრალდებულები გამართლდებიან, – ამის შესახებ ინტერპრესნიუსს დათა ახალაიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით მას უკვე ჩაბარდა ბრალის დადგენილება.

– დადგენილებაში არაფერი წერია იმაზე მეტი, ვიდრე პროკურატურის ბრიფინგზე ითქვა. ჩვენ არ გადმოგვცემია არანაირი მტკიცებულება, მაგრამ ალბათ გადმოგვეცემა. ბრალდება არის მოგონილი და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი გამართლდება, ისევე, როგორც სხვა ბრალდებულები, – განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

მისი ინფორმაციით, პროკურატურა ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ პოლიტიკურ დევნას აგრძელებს.

– ეს საქმე პოლიტიკური დევნის გაგრძელებაა. სხვა შეფასება არ შეიძლება ჰქონდეს იმას, რომ ჯაშუშებს დაზარალებულად აცხადებენ, ეს ადამიანები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ქვეყანაში წესრიგი ყოფილიყო. ელბერტ კობერიძე არის ჯაშუში. ის ჯაშუშობაში იმხილებოდა, ასევე სხვადასხვა დანაშაულებში სასჯელი აქვს მოხდილი და საპროცესოებიც აქვს გაფორმებული, ის არის ჩვეულებრივი კრიმინალი, – ამბობს ველიჯანაშვილი.

## ადვოკატი ველიჯანაშვილი: „კობერიძე ჯაშუში და კრიმინალია“



***

– საქმე გვაქვს ქართული სპეცსამსახურების მთლიანად რუსეთისთვის გადაბარებასთან, – ნათქვამია თავდაცვის ყოფილი მინისტრის, პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაიას სახელით გავრცელებულ განცხადებაში.

ბაჩო ახალაია პროკურატურის განცხადებას ეხმაურება და მიიჩნევს, რომ პროკურატურა რუსული სპეცსამსახურების დავალებების ბრმა შემსრულებელია.

ბაჩო ახალაიას თქმით, დავით ახალაიას, გიგი კალანდაძეს, მეგის ქარდავას და რომან შამათავას წარდგენილ ბრალთან არაფერი აკავშირებს.

– გამოვაცალოთ პროკურატურის განცხადებას ყველაფერი, რაც მათი ბოროტი კითხვის მხატვრულ ჟანრს ახასიათებს, ცოტა ყურადღებით დავაკვირდეთ სხვა გარემოებებს – საქმეს, რომელიც ეხება თითქოს არშემდგარი ტერაქტის გამო ჩადენილ დანაშაულს, – აცხადებს ბაჩო ახალაია.

მისი თქმით, ფაქტი უფრო მძიმე და დამაზიანებელია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს – არც მარტო ვინმესთვის რამე დანაშაულის დაბრალებაა და არც რამე დანაშაულის გამოვლენა.

– საქმე გვაქვს ქართული სპეცსამსახურების მთლიანად რუსეთისთვის გადაბარებასთან სრული მონაცემების ბაზებით, როგორც ჩანს, მათ შორის ყველა იმ ადამიანის გამოვლენასთან, რომლებიც ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ, – წერს ბაჩო ახალაია.

ახალაია მიიჩნევს, რომ დასკვნა საკმაოდ მძიმეა, რადგან, როგორც ჩანს, რუსული სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდა ყველაფერი, რაც საქართველოს უსაფრთხოებისთვის ფარული გზებით კეთდებოდა წლების განმავლობაში.

– პროკურატურამ არც კი იცის, სინამდვილეში რას აკეთებს. ისინი უბრალოდ ბრმა შემსრულებლები არიან რუსული სპეცსამსახურების დავალების. რეალობა ისაა, რომ ასეთი დანაშაული არ მომხდარა და დასახელებულ ადამიანებს არაფერი აკავშირებთ წარდგენილ ბრალთან, – აცხადებს ბაჩო ახალაია და ამატებს, რომ, წესით, პროკურატურას მისგან უნდა მიეღო ჩვენება.

– უნდა დაინტერესებულიყო, ხომ არ მიმდინარეობდა რამე სრულიად ლეგიტიმური ფარული საქმიანობა რუსული სპეცსამსახურების წინააღმდეგ, ხომ არ შეგვქმნია პრობლემა ჩვენი აგენტურის უსაფრთხოების გამო, ხომ არ დაგვჭირვებია რაიმე სახის ღონისძიებების გატარება, რომ კონკრეტული ადამიანის სიცოცხლე გადაგვერჩინა და შეგვენარჩუნებინა მისი შემდგომი პროდუქტიულობა. მაგრამ ეს კითხვები შეიძლება გასჩენოდა ქართულ სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც, როგორც ჩანს, არ არსებობენ და მათ მაგივრად რუსული სპეცსამსახურები ცალ კარში თამაშობენ, – აცხადებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

მისი თქმით, გაივლის წლები და ეს კონკრეტული ბრიფინგი შევა კაგებეს წარმატებულ ღონისძიებათა სიაში.

– მაშინ ყველასთვის ყველაფერი სრულიად ცხადი იქნება, შერცხვებათ მარტო მათ, ვინც ბრმად აკეთებდა ასეთ საქმეებს და მერე ბრიყვულად იმეორებდა ამ სისულელეებს, – ნათქვამია ბაჩო ახალაიას განცხადებაში.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# მღებრიშვილი აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დირექტორს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) დირექტორს – კენეტ მეიერსს შეხვდა.

გიორგი მღებრიშვილმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის უწყებებს შორის ჩამოყალიბებული პარტნიორობის მნიშვნელობას. მხარეებმა თანამშრომლობის შედეგად მიღწეული პროგრესი და სამომავლო გეგმები განიხილეს.

გიორგი მღებრიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ პროექტებზეც ისაუბრა. მისი თქმით, საქართველო რეგიონში ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა ქიმიურ, ბირთვულ, რადიაციულ და ბიოლოგიურ საფრთხეებთან ბრძოლის მიმართულებით.

მინისტრმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს წვლილზე საქართველოს სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების საქმეში.

შეხვედრაზე მხარეები სამომავლოდ ერთობლივი პროექტების განხორციელებასა და ურთიერთანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ.

– ჩვენ ყოველთვის ვამაყობთ საქართველოს მთავრობის წარმატებითა და თქვენთან ურთიერთობით. თქვენი ქვეყანა არის სანიმუშო მაგალითი რეგიონში უსაფრთხოების დაცვისა და განვითარების კუთხით, – აღნიშნა აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) დირექტორმა.

შეხვედრის დასასრულს გიორგი მღებრიშვილმა კენეტ მეიერსი 2016 წელს საქართველოში, „ქიმიური, ბიოლგიური, რადიაციული და ბირთვული (qbrb) მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესზე“ ოფიციალურად მიიწვია.

# საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ჯორჯიის შტატის ექსპერტიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელს შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გიორგი მღებრიშვილი ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს ექსპერტიზის ლაბორატორიას ეწვია და უწყების ხელმძღვანელს – ჯორჯ ჰერინის შეხვდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მასპინძლებმა მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია დაათვალიერებინეს, დანაშულის გამოძიებისა და პრევენციის უახლესი მეთოდები გააცნეს.

ჯორჯიის შტატის ექსპერტიზის ლაბორატორიაში წელიწადში 57000-დან 100000-მდე სავარაუდო ნივთმტკიცება მუშავდება და 5000-მდე დნმ-ის ანალიზი ტარდება.

გიორგი მღებრიშვილმა განაღმვის დანაყოფიც მოინახულა და ამერიკული მხარის მიერ საქართველოსთვის გადმოსაცემად განკუთვნილი სპეციალური აღჭურვილობა დაათვალიერა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ს ჯორჯიას შტატის სამართალდამცველებს მრავალწლიანი, მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ.



აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ტრენინგ-პროგრამის „ჯორჯია-საქართველოსთვის“ ფარგლებში, წლების განმავლობაში, წარმატებით განხორციელდა მრავალი სასწავლო ვიზიტი და გაცვლითი პროგრამა, ჩატარდა ათობით ტრენინგი სხვადასხვა სამართალდაცვით სფეროში: კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა, პროფესიული განვითარება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, პატრულირება, მენეჯმენტი/მართვა, სპეციარაღების გამოყენება და ტაქტიკა, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია და სხვა.

პროგრამა ხელს უწყობს ურთიერთობების განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებას ორი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს შორის.

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.
შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

# ტერორისტების მთავარი ფინანსისტი მოკლეს


სტივ უორენი

პენტაგონის წარმომადგენელმა სტივ უორენმა განაცხადა, რომ აშშ-ს სამხედრო ავიაციის დარტყმების შედეგად ლიკვიდირებულია ტერორისტების რამდენიმე ლიდერი, მათ შორის, მათი მთავარი ფინანსისტი აბუ სალაჰი.

— აბუ სალაჰი ყველაზე გამოცდილ და სასტიკ ტერორისტთა რიგებს განეკუთვნებოდა, — აცხადებს უორენი.

პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერაყის ქალაქ რომადიზე განხორციელებული საჰაერო დარტყმების შედეგად ტერორისტებმა უდიდესი დანაკარგი განიცადეს. მოკლულ ბოევიკთა რაოდენობამ 600-ს მიაღწია.

— ჩვენ საჰაერო დარტყმებს განვაგრძობთ, — ამბობს უორენი.

# კანადამ სირიელ ლტოლვილთა პირველი პარტია მიიღო



ტორინტოს აეროპორტში სირიელი ლტოლვილებით სავსე პირველი თვითმფრინავი დაეშვა. აეროპორტში მათ დახვდნენ კანადის პრემიერი ტრიუდო, აგრეთვე თავდაცვისა და განათლების მინისტრები და უბრალო მოქალაქეები.

— ჩვენ მთელს მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ კანადის ხალხს სხვისი უბედურება გულთან ახლოს მიაქვს, — განაცხადა პრემიერმა ტრიუდომ.

კანადაში სირიელ ლტოლვილთა პირველი ნაკადი, 160 ადამიანი, ჩავიდა. კანადა აპირებს 25.000 სირიელი ლტოლვილის მიღებას.

# რუსეთი ჟენევის კონვენციის დაცვაზე უარს აცხადებს



რუსეთმა დაბლოკა საერთაშორისო წითელი ჯვრის დადგენილება, რომელიც ყველა ქვეყანას ავალდებულებს ჟენევის კონვენციის დაცვას, რაც მოსახლეობისადმი, ტყვეებისადმი ჰუმანურ მოპყრობას ითვალისწინებს.

რუსეთმა უარი განაცხადა წარედგინა ანგარიში, რაც მის მიერ ჟენევის ხელშეკრულების შესრულებას ითვალისწინებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ჯონ ქერი სირიის ოპოზიციას შეხვდა

## ოპოზიციის გაერთიანება ბურუსითაა მოცული



საუდის არაბეთის დედაქალაქ ელ რიადში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერისა და სირიის ოპოზიციის შეხვედრა შედგა. შეხვედრას ასადის ზომიერი ოპოზიცია, ასევე ისლამისტური ჯგუფების წარმომადგენლები დაესწრნენ.

— საუბარი კონსტრუქციულად წარიმართა, — განუცხადა ჟურნალისტებს ქერიმ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ გამოიკვეთა შეთანხმებების კონტურები. კერძოდ, შესაძლოა შეიქმნას ოპოზიციის ერთიანი კოალიცია, რომელიც ასადთან დროებით სამშვიდობო შეთანხმებას გააფორმებს.

— გამოიკვეთა კონტურები ერთიანი ოპოზიციური ფრონტის, რომელიც ასადთან ლაპარაკს დაიწყებს, — თქვა ქერიმ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ერთი თვის წინ მსოფლიოს ოცი ქვეყანა ვენაში ერთიანი ანტიტერორისტული ფრონტის შექმნაზე შეთანხმდა. ახლა ამ წინადადების რეალიზაცია მიმდინარეობს. თუკი ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნა მოხერხდა, დაიწყება მოლაპარაკებები ასადთან. მათი შედეგი დროებითი გარდამავალი მთავრობის შექმნა იქნება. ამის შემდეგ ასადის შეიარაღებული ძალები და ოპოზიცია ტერორისტებს ერთად შეუტევენ.

ქერიმ მიუთითა, რომ ამერიკულმა დიპლომატიამ ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამის მიღწევა შეძლო, თუმცა არსებობს პრობლემებიც. ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა რუსეთი.

— რუსები არა ტერორისტებს, არამედ ასადის მოწინააღმდეგეთა პოზიციებს ბომბავენ. ეს კი სირიის კონფლიქტის დარეგულირებას ხელს უშლის, — თქვა ქერიმ.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ რუსეთის ამბიციების გარეშე ანტიტერორისტული კოალიცია კარგა ხანია შეიქმნებოდა. ისლამური ექსტრემიზმი ხომ როგორც ზომიერი სირიული ოპოზიციის, ასევე მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგაც გამოდის.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა თქვა, რომ ამერიკული დიპლომატიის უმთავრესი მიზანი რუსეთის განეიტრალებაა.

— ამისკენაა მიმართული ჩემი მოსალოდნელი ვიზიტი მოსკოვში, — ამბობს ქერი და ამატებს, რომ ერთიანი სირიული ოპოზიციური ფრონტის კონტურები უკვე გამოიკვეთა.

ექსპერტები ასეთ ოპტიმიზმს არ იზიარებენ.

ერთ-ერთმა წამყვანმა სირიულმა ორგანიზაცია ახრარ აშ-შამმა გამოაცხადა, რომ მოლაპარაკების პროცესიდან გადის.

— წინა პლანზე ის ძალები გამოდიან, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ასადის რეჟიმთან იყვნენ დაკავშირებულნი. ჭეშმარიტ რევოლუციურ ძალებს, რომლებიც სირიის გათავისუფლებისთვის იბრძვიან, გვერდზე წევენ, — ნათქვამია მის განცხადებაში.

ახრარ აშ-შამი (თავისუფალ მუსლიმთა მოძრაობა) სირიელ პარტიზანთა ერთ-ერთი გავლენიანი ორგანიზაციაა. მისი ფინანსირება კუვეიტიდან ხდება. ორგანიზაციას გააჩნია როგორც შეიარაღება, ასევე ჩამოყალიბებული სტრუქტურაც. ორგანიზაციამ რამდენიმე ოპერაცია განახორციელა როგორც ალეპოს, ის დამასკოს გარეუბანში. ამით ის გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი გავლენიანი ძალა სირიული წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ამრიგად, ერთიანი სირიული ოპოზიციური ფრონტის შექმნა კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

**მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**მობ. ტელ: 599-73-48-21**

*თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.*

**ლამარა თოდუა:**

**„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნილბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**მკურნალობა**

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

**მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6**

**☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ-იორკში; 2. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ატმოსფერული ნალექი; 5. მდინარე სამეგრელოში; 6. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 9. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტას აეროპორტი; 11. იაპონური რესტორანი; 14. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 16. ვერცხლის თხელი ფენით დაფარული ლითონის ნაკეთობა; 18. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში.

**თარაზულად:** 1. ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 4. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 7. საფრანგეთის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 8. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 12. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 13. უნივერსიტეტი მადრიდში; 15. ცისკრის ვარსკვლავის ქართული სახელწოდება; 17. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 19. ქალაქის თავი გერმანიაში; 20. პოპულარული ტანსაცმელი; 21. ძვირფასი ნივთები, ფასეულობა, განძი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხულა; 2. დურდო; 3. არაყი; 5. ბალეტი; 6. ნიკოლაძე; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. „მარასკინი“; 14. თხა; 16. ქაშერი; 18. ბიტი.

**თარაზულად:** 1. ხენდრო; 4. კაბოშონი; 7. პრიზმა; 8. „ყაზბეგი“; 12. პეტრა; 13. მთვარე; 15. დევიზა; 17. პაი; 19. ღვინობისთვე; 20. ხირსა; 21. ყინული.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჟოქო; 2. ვეკუა; 3. ხაიამი; 5. რუპია; 6. დილიჟანი; 8. ტროპოსფერო; 10. ინვაზია; 12. „აირზენა“; 14. უოლესი; 15. „კადიმა“; 16. ფლეში.

**თარაზულად:** 1. ჟენევა; 4. ორმუზდი; 7. ჰაკერი; 9. მაჭარი; 11. ბოცმანი; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. გლორია; 18. „პელე“; 19. ინტელექტი; 20. „კოხინორი“.

# ევროპული უიკ ენდის მოლოდინში

## სტატისტიკა, ფსონები

**ევროპაში მორიგი ტურია. ერთია, რამე გამორჩეული მატჩი არ არის. თუმცა, არის საინტერესო შეხვედრები. ინგლისში ასეთი ლესტერი-ჩელსია, ესპანეთში — ვილიარეალი-რეალი, იტალიაში — ნაპოლი-რომა, საფრანგეთში — პსჟ-ლიონი.**



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.12 ნორვიჩი-ევერტონი | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 12.12 სანდერლენდი-უოტფორდი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 12.12 სიტი-სუონსი | 1.28 | 5.5 | 9.5 |
| 12.12 ვესტ ჰემი-სტოკი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 12.12 კრ.პალასი-საუთჰემპტონი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 12.12 ბორნმუთი-მანჩესტერი | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 13.12 ასტონ ვილა-არსენალი | 5.5 | 4.0 | 1.57 |
| 13.12 ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1.36 | 4.5 | 9.0 |
| 13.12 ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.36 | 4.8 | 8.5 |
| 14.12 ლესტერი-ჩელსი | 3.2 | 3.3 | 2.25 |

**ნორვიჩი-ევერტონი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ვეს ჰოლაჰანი, მეთიუ იარვისი

ევერტონი: ***ტრავმ***-ჯეიმს მაკკარტი, ტიას ბრაუნინგი, ბრაიან ოვიედო, ფილ იაგიელკა

**სანდერლენდი-უოტფორდი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ვესლი ბრაუნი, ლი კატერმოლი, სებასტიან ლარსონი, ჯერმეინ დეფო

უოტფორდი: ***ტრავმ***-ვალონ ბეჰრამი, სებასტიან პროდი

**სიტი-სუონსი**

სიტი: ***ტრავმ***-მარტინ დემიკელისი, ფერნანდო, სერხიო აგუერო, ვინსენტ კომპანი, პაბლო ზაბალეტა, სამირ ნასრი

სუონსი: ***ტრავმ***-ედერი

**ვესტ ჰემი-სტოკი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ვიქტორ მოსესი, მანუელ ლანზინი, დიაფრა სახო, ენერ ვალენსია

სტოკი: ***ტრავმ***– პიტერ კრაუჩი, პიტერ ოდემვინჯი

**კრ.პალასი-საუთჰემპტონი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ბაქარი საკო

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ვიქტორ ვიანიამა, ჯეი როდრიგესი

**ბორნმუთი-მანჩესტერი**

ბორნმუთი:***ტრავმ***-სილვინ დისტინი, ადამ ფედერიკი, ლიი ტომლინი, მარკ პუგი, კალუმ უილსონი, ტაირონ მინგსი, მაქს გრადელი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-კრის სმოლინგი, მორგან შნეიდერლინი, მატეო დარმიანი, უეინ რუნი, მარკოს როხო, ანდერ ერერა, ფილ ჯონსი, ანტონიო ვალენსია, ლუკ შოუ

**ასტონ ვილა-არსენალი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-კარლოს სანჩესი, რუდი გესტედე, ჟორდან ამავი, მიკა რიჩარდი

არსენალი: ***ტრავმ***-ალექსის სანჩისი, სანტი კაზორლა, მიკელ არტეტა, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი, დანი უელბეკი

**ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი**

ლივერპული: ***ტრავმ***-დანიელ სტარიჯი, ფილლიპ კოუტინიუ, მამადუ სახო, დანი ინგსი, ხოსეპ გომესი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-შტეფან სესინიონი, ბენ ფოსტერი

**ტოტენჰემი-ნიუკასლი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-რაიან მეისონი, ნაბილ ბენტალები, ნასერ ჩადლი, ალექს პრიჩარდი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ჯამაა ლასკელესი, ისმაილ ტიოტე, როლანდო აარონსი, ტიმ კრული, სტივენ ტეილორი, გაბრიელ ობერტანი

**ლესტერი-ჩელსი**

ლესტერი: ***ტრავმ***-რიჩი დე ლაიე

ჩელსი:***ტრავმ***-ჯონ ტერი, რამირესი, რადამელ ფალკაო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 15 | 9 | 5 | 1 | 32-21 | 32 |
| 2.არსენალი | 15 | 9 | 3 | 3 | 27-13 | 30 |
| 3.სიტი | 15 | 9 | 2 | 4 | 30-16 | 29 |
| 4.მანჩესტერი | 15 | 8 | 5 | 2 | 20-10 | 29 |
| 5.ტოტენჰემი | 15 | 6 | 8 | 1 | 25-12 | 26 |
| 6.კრ.პალასი | 15 | 7 | 2 | 6 | 20-15 | 23 |
| 7.ვესტ ჰემი | 15 | 6 | 5 | 4 | 25-21 | 23 |
| 8.ლივერპული | 15 | 6 | 5 | 4 | 18-17 | 23 |
| 9.ევერტონი | 15 | 5 | 7 | 3 | 28-20 | 22 |
| 10.უოტფორდი | 15 | 6 | 4 | 5 | 17-16 | 22 |
| 11.სტოკი | 15 | 6 | 4 | 5 | 13-14 | 22 |
| 12.საუთჰემპტონი | 15 | 5 | 6 | 4 | 21-18 | 21 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 15 | 5 | 4 | 6 | 14-19 | 19 |
| 14.ჩელსი | 15 | 4 | 3 | 8 | 17-24 | 15 |
| 15.სუონსი | 15 | 3 | 5 | 7 | 14-22 | 14 |
| 16.ნორვიჩი | 15 | 3 | 4 | 8 | 17-27 | 13 |
| 17.ბორნმუთი | 15 | 3 | 4 | 8 | 18-30 | 13 |
| 18.ნიუკასლი | 15 | 3 | 4 | 8 | 16-30 | 13 |
| 19.სანდერლენდი | 15 | 3 | 3 | 9 | 17-29 | 12 |
| 20.ასტონ ვილა | 15 | 1 | 3 | 11 | 13-28 | 6 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.12 ბარსელონა-დეპორტივო | 1.05 | 13.0 | 26.0 |
| 12.12 ლევანტე-გრანადა | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 12.12 სელტა-ესპანიოლი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 12.12 სევილია-ხიხონი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 12.12 ლას პალმასი-ბეტისი | 2.1 | 3.3 | 3.6 |
| 13.12 რაიო-მალაგა | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 13.12 ეიბარი-ვალენსია | 2.62 | 3.2 | 2.75 |
| 13.12 ატლეტიკო-ბილბაო | 1.65 | 3.5 | 6.0 |
| 13.12 ვილიარეალი-რეალი | 4.5 | 4.2 | 1.67 |

**ბარსელონა-დეპორტივო**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ნეიმარი, დუგლას პერეირა, რაფინია

დეპორტივო: ***ტრავმ***-ორიოლ რიერა, ხონას გუტიერესი, ცელსო ბორხესი, ლუის ალბერტო; ***დისკვ***-პედრო მოსკერა

**ლევანტე-გრანადა**

ლევანტე: ***ტრავმ***-ივან ლოპესი, ანგელ ტრუხილიო; ***დისკვ***-ხუანფრანი

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

**სელტა-ესპანიოლი**

სელტა: ***ტრავმ***-სერხიო გომესი, ანდრეუ ფონტასი, ნემანია რადოია; ***დისკვ***-ჯონი კასტრო

ესპანიოლი: ***ტრავმ***–არავინ; ***დისკვ***-ენცო როკო

**სევილია-ხიხონი**

სევილია: ***ტრავმ***-მარკო ანდრეოლი, გაელ კაკუტა, ბეტო, დანიელ კარიკო; ***დისკვ***-ვისენტე იბორა

ხიხონი: ***ტრავმ***-რობერტო კანელა, სერხიო ალვარესი

**ლას პალმასი-ბეტისი**

ლას პალმასი:***ტრავმ***-პედრო ბიგასი, მუბარაქ ვაკასო, ხავი კასტელანო; ***დისკვ***-აიტჰამ არტილესი

ბეტისი: ***ტრავმ***-დიდიე დიუგარი; ***დისკვ***-დანი სებალოსი, ბრუნო

**რაიო-მალაგა**

რაიო: ***ტრავმ***-პატრიკ ებერტი, რაზვან რაცი, ტონო; ***დისკვ***-პაულ ბაენა

მალაგა: ***ტრავმ***–არავინ

**ეიბარი-ვალენსია**

ეიბარი: ***ტრავმ***–არავინ

ვალენსია: ***ტრავმ***-როდრიგო ორენო; ***დისკვ***-დანი პარეხო

**ატლეტიკო-ბილბაო**

ატლეტიკო:***ტრავმ***-ტიაგო, ჯეკსონ მარტინესი

ბილბაო:***ტრავმ***– არავინ;***დისკვ***-მიგელ სან ხოსე

**ვილიარეალი-რეალი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-მარიო გასპარი, დანიელე ბონერა, ლეო ბაპტისტაო, ადრიანი

რეალი: ***ტრავმ***-დანიელ კარვახალი, ღაფაელ ვარანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 14 | 11 | 1 | 2 | 34-13 | 34 |
| 2.ატლეტიკო | 14 | 10 | 2 | 2 | 20-6 | 32 |
| 3.რეალი | 14 | 9 | 3 | 2 | 32-12 | 30 |
| 4.სელტა | 14 | 7 | 4 | 3 | 25-22 | 25 |
| 5.ვილიარეალი | 14 | 7 | 3 | 4 | 18-15 | 24 |
| 6.დეპორტივო | 14 | 5 | 7 | 2 | 21-14 | 22 |
| 7.ბილბაო | 14 | 6 | 3 | 5 | 21-16 | 21 |
| 8.ვალენსია | 14 | 5 | 5 | 4 | 18-11 | 20 |
| 9.ეიბარი | 14 | 5 | 5 | 4 | 18-16 | 20 |
| 10.სევილია | 14 | 5 | 4 | 5 | 19-19 | 19 |
| 11.ბეტისი | 14 | 5 | 4 | 5 | 13-18 | 19 |
| 12.ესპანიოლი | 14 | 5 | 2 | 7 | 15-25 | 17 |
| 13.სოსიედადი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-19 | 15 |
| 14.ხიხონი | 14 | 4 | 3 | 7 | 15-21 | 15 |
| 15.ხეტაფე | 14 | 4 | 2 | 8 | 15-23 | 14 |
| 16.რაიო | 14 | 4 | 2 | 8 | 15-25 | 14 |
| 17.მალაგა | 14 | 2 | 5 | 7 | 7-13 | 11 |
| 18.გრანადა | 14 | 2 | 5 | 7 | 15-24 | 11 |
| 19.ლევანტე | 14 | 2 | 5 | 7 | 11-25 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 14 | 2 | 4 | 8 | 11-22 | 10 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.12 ბაიერნი-ინგოლშტადი | 1.06 | 10.0 | 26.0 |
| 12.12 დარმშტადი-ჰერტა | 3.1 | 3.0 | 2.37 |
| 12.12 ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.57 | 3.8 | 5.5 |
| 12.12 ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი | 1.91 | 3.4 | 3.8 |
| 12.12 ვერდერი-კიოლნი | 2.37 | 3.3 | 2.8 |
| 12.12 ლევერკუზენი-გლადბახი | 2.0 | 3.5 | 3.4 |
| 13.12 აუგსბურგი-შალკე | 2.5 | 3.4 | 2.6 |
| 13.12 დორტმუნდი-აინტრახტი | 1.12 | 8.0 | 15.0 |

**ბაიერნი-ინგოლშტადი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი, დავიდ ალაბა, დუგლას კოსტა, ტიაგო ალკანტარა, ხუან ბერნატი, მარიო გიოტცე

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-მორის ჰარტმანი, მარკუს სუტნერი, კონსტანტინ ენგელი

**დარმშტადი-ჰერტა**

დარმშტადი: ***ტრავმ***-არავინ

ჰერტა:***ტრავმ***-რონი, ნიკლას სტარკი, ტომას კრაფტი, პეტერ პეკარიკი

**ვოლფსბურგი-ჰამბურგი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***–არავინ

ჰამბურგი: ***ტრავმ***-რენე ადლერი, პიერ ლასოგა, ემირ სპაჰიჩი, გოიკო კაჩარი, ნიკოლაი მიულერი, დენის დიკმაიერი

**ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***– არავინ

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჰიკორი საკაი, ჰიროში კიოკატე

**ვერდერი-კიოლნი**

ვერდერი: ***ტრავმ***-სანტიაგო გარსია, არონ იოჰანსენი

კიოლნი: ***ტრავმ***– არავინ

**ლევერკუზენი-გლადბახი**

ლევერკუზენი:***ტრავმ***-ლარს ბენდერი, ტინ იედვაი

გლადბახი: ***ტრავმ***-იბრაჰიმა ტრაორე, ალვარო დომინგესი, ანდრე ჰანი, პატრიკ ჰერმანი, ნიკო შულცი, მარტინ შტრანცლი

**აუგსბურგი-შალკე**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ტობიას ვერნერი, ჰონგ იეონგ-ჰო

შალკე: ***ტრავმ***-მარკო ჰოგერი, მატია ნასტასიჩი

**დორტმუნდი-აინტრახტი**

დორტმუნდი:***ტრავმ***-სოკრატის პაპასტატოპულოსი, ჯულიან ვეიგი, მატს ჰუმელსი, ნური შაჰინი

აინტრახტი: ***ტრავმ***-იოანეს ფლუმი, ლუკ კასტაინოსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 15 | 13 | 1 | 1 | 43-8 | 40 |
| 2.დორტმუნდი | 15 | 11 | 2 | 2 | 42-20 | 35 |
| 3.გლადბახი | 15 | 8 | 2 | 5 | 31-23 | 26 |
| 4.ჰერტა | 15 | 8 | 2 | 5 | 20-18 | 26 |
| 5.ვოლფსბურგი | 15 | 7 | 4 | 4 | 24-17 | 25 |
| 6.შალკე | 15 | 7 | 3 | 5 | 21-21 | 24 |
| 7.მაინცი | 15 | 7 | 2 | 6 | 23-21 | 23 |
| 8.ლევერკუზენი | 15 | 6 | 3 | 6 | 19-20 | 21 |
| 9.ჰამბურგი | 15 | 6 | 3 | 6 | 18-21 | 21 |
| 10.კიოლნი | 15 | 5 | 5 | 5 | 15-19 | 20 |
| 11.ინგოლშტადტი | 15 | 5 | 5 | 5 | 11-15 | 20 |
| 12.დარმშტადტი | 15 | 4 | 6 | 5 | 15-19 | 18 |
| 13.აინტრახტი | 15 | 3 | 5 | 7 | 18-23 | 14 |
| 14.ჰანოვერი | 15 | 4 | 2 | 9 | 18-27 | 14 |
| 15.ვერდერი | 15 | 4 | 2 | 9 | 15-29 | 14 |
| 16.აუგსბურგი | 15 | 3 | 4 | 8 | 18-25 | 13 |
| 17.შტუტგარტი | 15 | 3 | 2 | 10 | 19-36 | 11 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 15 | 1 | 7 | 7 | 16-24 | 10 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.12 ჯენოა-ბოლონია | 2.0 | 3.2 | 3.8 |
| 12.12 პალერმო-ფროზინონე | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 12.12 სასუოლო-ტორინო | 2.62 | 3.2 | 2.6 |
| 12.12 უდინეზე-ინტერი | 3.8 | 3.25 | 1.95 |
| 13.12 მილანი-ვერონა | 1.36 | 4.5 | 8.0 |
| 13.12 ემპოლი-კარპი | 1.65 | 3.4 | 5.5 |
| 13.12 კიევო-ატალანტა | 2.4 | 3.0 | 3.0 |
| 13.12 ნაპოლი-რომა | 1.57 | 3.8 | 5.5 |
| 13.12 იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.67 | 3.6 | 5.0 |
| 14.12 ლაციო-სამპდორია | 1.5 | 4.0 | 6.0 |

**ჯენოა-ბოლონია**

ჯენოა: ***ტრავმ***-ეზეკიელ მუნიოსი, ჯოვანი მარკეზე; ***დისკვ***-ლეანდრო პავოლეტი

ბოლონია: ***ტრავმ***-ემანუელე გიაჩერინი, დომენიკო მაიეტა, ემილ კრაფტი; ***დისკვ***-ადამ მასინა

**პალერმო-ფროზინონე**

პალერმო: ***ტრავმ***-ენცო მარესკა, ფაბიო დაპრელა, ლუკა რიგონი, ღობერტო ვიტიელო

ფროზინონე: ***ტრავმ***-რამან ჩიბსა, ადრიანო რუსო

**სასუოლო-ტორინო**

სასუოლო: ***ტრავმ***– არავინ; ***დისკვ***-დომენიკო ბერარდი

ტორინო:***ტრავმ***-ჯოელ ობი, ნიკოლა მაკსიმოვიჩი; ***დისკვ***-ბრუნო პერესი

**უდინეზე-ინტერი**

უდინეზე: ***ტრავმ***-დუვან ძაპატა, ალექსანდერ მერკელი, გილერმე; ***დისკვ***-ფელიპე, დანილო

ინტერი:***ტრავმ***-ნემანია ვიდიჩი; ***დისკვ***-დანილო დამბროზინო

**მილანი-ვერონა**

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონელი, დიეგო ლოპესი, მარიო ბალოტელი, ჯერემი მენეზე

ვერონა: ***ტრავმ***-ხუანიტო, ჯამპაოლო პაცინი, რომულო; ***დისკვ***-რაფაელი

**ემპოლი-კარპი**

ემპოლი: ***ტრავმ***-მარკო ძამბელი, რადე კრუნიჩი, ლევან მჭედლიძე

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელე

**კიევო-ატალანტა**

კიევო: ***ტრავმ***-ფედერიკო მატიელო; ***დისკვ***-სიმონე პეპე

ატალანტა:***ტრავმ***-მაურისიო პინილია, ბაქარი დრამე

**ნაპოლი-რომა**

ნაპოლი: ***ტრავმ***– არავინ

რომა: ***ტრავმ***-ვასილის ტოროსიდისი, ფრანჩესკო ტოტი, კევინ სტროოტმანი

**იუვენტუსი-ფიორენტინა**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ერნანესი, რობერტო პერეირა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-იაკუბ ბლაჩიკოვსკი

**ლაციო-სამპდორია**

ლაციო: ***ტრავმ***-სენად ლულიჩი, ოგენი ონაზი, შტეფან დე ვრეი; ***დისკვ***-მაურისიო

სამპდორია: ***ტრავმ***-ხოაკინ კორეა, ანდრეა კოდა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 10 | 3 | 2 | 18-9 | 33 |
| 2.ფიორენტინა | 15 | 10 | 2 | 3 | 30-12 | 32 |
| 3.ნაპოლი | 15 | 9 | 4 | 2 | 28-12 | 31 |
| 4.რომა | 15 | 8 | 4 | 3 | 30-18 | 28 |
| 5.იუვენტუსი | 15 | 8 | 3 | 4 | 22-11 | 27 |
| 6.სასუოლო | 15 | 7 | 5 | 3 | 19-14 | 26 |
| 7.ატალანტა | 15 | 7 | 3 | 5 | 18-15 | 24 |
| 8.მილანი | 15 | 7 | 3 | 5 | 19-18 | 24 |
| 9.ტორინო | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 10.ემპოლი | 15 | 6 | 3 | 6 | 17-20 | 21 |
| 11.კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 20-16 | 19 |
| 12.ლაციო | 15 | 6 | 1 | 8 | 17-24 | 19 |
| 13.უდინეზე | 15 | 5 | 3 | 7 | 14-20 | 18 |
| 14.სამპდორია | 15 | 4 | 4 | 7 | 21-25 | 16 |
| 15.ბოლონია | 15 | 5 | 1 | 9 | 16-21 | 16 |
| 16.ჯენოა | 15 | 4 | 4 | 7 | 15-20 | 16 |
| 17.პალერმო | 15 | 4 | 3 | 8 | 13-23 | 15 |
| 18.ფროზინონე | 15 | 4 | 2 | 9 | 14-26 | 14 |
| 19.კარპი | 15 | 2 | 4 | 9 | 13-27 | 10 |
| 20.ვერონა | 15 | 0 | 6 | 9 | 10-25 | 6 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.12 რეიმსი-ნიცა | 2.4 | 3.25 | 2.8 |
| 12.12 ლილი-ლორიანი | 1.85 | 3.2 | 4.8 |
| 12.12 მონპელიე-გენგამი | 2.1 | 3.1 | 3.6 |
| 12.12 ტრუა-ბასტია | 2.37 | 3.1 | 3.0 |
| 12.12 ნანტი-ტულუზა | 2.25 | 3.1 | 3.2 |
| 13.12 მონაკო-სტ.ეტიენი | 2.05 | 3.2 | 3.6 |
| 13.12 მარსელი-გაზელეკი | 1.36 | 4.5 | 8.0 |
| 13.12 ანჟე-ბორდო | 2.37 | 2.87 | 3.2 |
| 13.12 პსჟ-ლიონი | 1.25 | 5.5 | 10.0 |

**რეიმსი-ნიცა**

რეიმსი: ***ტრავმ***-დიეგო, ჰუგო როდრიგესი, ანტუან კონტე

ნიცა: ***ტრავმ***-რიკარდო პერეირა, მაჰამანე ტრაორე, მიკელ ლე ბიანი, ალასანე პლეა, სიმონ პუპლინი

**ლილი-ლორიანი**

ლილი: ***ტრავმ***-,არკო ბასა, მუნირ ობადი

ლორიანი: ***ტრავმ***-ვესლი ლაუტოა, რაფინიდე აბდულა

**მონპელიე-გენგამი**

მონპელიე: ***ტრავმ***-პოლ ლანსე, იორის მავრო

გენგამი: ***ტრავმ***-ლიონელ მატისი, მამადუ სამასა, მაქსინ ბაკა

**ტრუა-ბასტია**

ტრუა: ***ტრავმ***-დუშან ვეშკოვაჩი, ჩაოკი ბენ საადა, დენის პეტრიჩი, მორი კონე

ბასტია: ***ტრავმ***-ფრანსუა კამანო, კრისტოფერ მაბულუ, ალექსანდერ ჯიკუ

**ნანტი-ტულუზა**

ნანტი: ***ტრავმ***-ვილფრედ მოიმბე, ბირამა ტურე, ადრიენ ტომასონი, ვალენტინე რონიე

ტულუზა: ***ტრავმ***-ტონგო დუმბია

**მონაკო-სტ.ეტიენი**

მონაკო: ***ტრავმ***-ჯერემი ტულანანი, ნაბილ დირარი, ივან კავალიერო, ფარეს ბალული

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ბენჯამინ კორნე, ფაბიან ლემო, რობერტ ბერიჩი, კევინ ტეოფილე

**მარსელი-გაზელეკი**

მარსელი: ***ტრავმ***-პაოლო დი ჩელიე, აბუ დიაბი

გაზელეკი: ***ტრავმ***-გრეგუარ პუიო, კლემენტ მაური, პაბლო მარტინესი, ალასანე ტურე

**ანჟე-ბორდო**

ანჟე:***ტრავმ***-სიმანე სისოკო, ფერებორი დორე

ბორდო:***ტრავმ***-ტომას ტურე, ლამინე სანე, პაბლო, გრეგუარ სერტიჩი

**პსჟ-ლიონი**

პსჟ: ***ტრავმ***-მარკო ვერატი, ხავიერ პასტორე

ლიონი: ***ტრავმ***-ანტუან ლოპესი, კრისტოფერ ჟალე, ალდო კალულუ, ნაბილ ფეკირი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 17 | 14 | 3 | 0 | 40-8 | 45 |
| 2.ანჟე | 17 | 8 | 6 | 3 | 16-9 | 30 |
| 3.კაენი | 17 | 9 | 2 | 6 | 20-18 | 29 |
| 4.მონაკო | 17 | 7 | 7 | 3 | 24-23 | 28 |
| 5.ლიონი | 17 | 7 | 5 | 5 | 21-16 | 26 |
| 6.სტ.ეტიენი | 17 | 8 | 2 | 7 | 21-21 | 26 |
| 7.ნიცა | 17 | 7 | 4 | 6 | 30-22 | 25 |
| 8.ლორიანი | 17 | 6 | 7 | 4 | 27-23 | 25 |
| 9.მარსელი | 17 | 6 | 5 | 6 | 26-19 | 23 |
| 10.რენი | 17 | 5 | 8 | 4 | 22-20 | 23 |
| 11.ნანტი | 17 | 6 | 4 | 7 | 13-16 | 22 |
| 12.ბორდო | 17 | 5 | 6 | 6 | 21-26 | 21 |
| 13.ლილი | 17 | 4 | 8 | 5 | 11-12 | 20 |
| 14.რეიმსი | 17 | 5 | 5 | 7 | 18-21 | 20 |
| 15.გაზელეკი | 17 | 5 | 5 | 7 | 17-20 | 20 |
| 16.მონპელიე | 17 | 5 | 4 | 8 | 20-23 | 19 |
| 17.გენგამი | 17 | 5 | 4 | 8 | 16-23 | 19 |
| 18.ბასტია | 17 | 5 | 3 | 9 | 17-23 | 18 |
| 19.ტულუზა | 17 | 3 | 6 | 8 | 19-31 | 15 |
| 20.ტრუა | 17 | 0 | 6 | 11 | 9-34 | 6 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# TV პროგრამა

## ორშაბათი 14 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" – 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "ისპაჰანის სამეფო მეჩეთი" 14.05 მხ/ფ "**დიასახლისი**" (გ.ჰოუნი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "კომუნიკატორი" 00.10 მხ/ფ "**კოტონ მერი**" 02.10 თოქ – შოუ "რეალური სივრცე"

08.00 დოკ/ფ "მესამე ხანა" 09.00 მხ/ფ "**ბიჭუნა წყალზე**" 10.30 დოკ/ფ "ავსტრალია" 11.00 ქართ. მხ/ფ "**რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე**" 12.30 დოკ/ფ ათენი"13.00 დოკ/ფ " ააშენე უფრო დიდი" 14.00 " ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 17.00 " პოლიტალტერნატივა" 19.00 " თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 " ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 მხ/ფ "**გატაცებული**" (ჯ.ლუკასი) 00.00 მხ/ფ "**იპოვე ჭეშმარიტება**" (ლ.ლოჰანი) 02.25 მხ/ფ "**სიმამაცის კანონი**" (რ.სანჩესი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 ნიჭიერი (პირდაპირი) 00.00 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი- "მადლმოსილი მღვდელმთავარი" 06.45 ქართული ალბომი 07.10 დ/ფ "ვახტანგ დიდი გორგასალი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ხარება და გოგია**" II 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "ასერგასის დღე" 17.30 საქართველოს დაცული ტერიტორიები-თუშეთის დაცული ტერიტორია 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**მე ვხედავ მზეს**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 დ/ფ 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 საუკუნის პორტრეტები-ავლიპ ზურაბაშვილი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.00 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "პულსი" 16.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 17.05, 2.20 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ნადირობა**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**მყნოსავი-1**"

## სამშაბათი 15 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" – 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30, 14.05 მხ/ფ "**აპოლო 13**" (ტ.ჰენკსი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 21.00 კონცერტი 22.30 მხ/ფ "**მეორე დღე რომ დაღამდა**" (მ.ბრანდო) 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**იცეკვე მასთან**"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დოკ/ფ "სუფრაჟისტები" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 Voice - საქართველო 00.00 ილო ბეროშვილის შოუ 01.00 მხ/ფ "**სხვა ცხოვრების დასაწყისი**" (ა.ეკჰარტი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 სპექტაკლი "**ასერგასის დღე**" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 საქართველოს ქალაქები 11.10 თაობა ზეტი 11.30 გამოყენებითი ხელოვნება 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 საუკუნის პორტრეტები-ავლიპ ზურაბაშვილი 16.20 მგზავრები წუთისოფლისა "ფშავი–სოფ. გომეწარი" 17.10 დ/ფ "ნოდარ მამისაშვილი" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-ჩელა 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ "ისე წილკნელი" 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 17.05, 2.15 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ნადირობა**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**მყნოსავი-1**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## ოთხშაბათი 16 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30, 14.05 მხ/ფ "**რადგან ბეისბოლი მიყვარს**" (კ.კოსტნერი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 მხ/ფ "**კონსპირატორი**" (კ.კლაინი) 00.00 "კომუნიკატორი" 01.50 მხ/ფ "**ზნელეთის ადამიანი**" (ლ.ნისონი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.0, 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "**კრიმინალური სამყარო**" (რ.დე ნირო) 02.45 მხ/ფ "**სხვა ცხოვრების დასაწყისი**" (ა.ეკჰარტი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ბავშვები მუზეუმში 11.30 დ/ფ "მირონის კურთხევა" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ისტორიის გაკვეთილი 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დ/ფ "ველური ბუნება-ჰიპოპოტამების ტრაგედია" 16.20 კონცერტი 17.00 დ/ფ "ნარკომანია" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**არსენას ლექსი**" 1 ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.30 დ/ფ "ბარბაროზა" 00.40 დ/ფ "რვა ტყვია" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 16.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 17.05, 2.15 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ნადირობა**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**მყნოსავი-1**"

## ხუთშაბათი 17 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" – 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30, 14.05 მხ/ფ "**მაკარტური**" (გ.პეკი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 მხ/ფ "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**კოზირის ტუზები**" (რ.ლიოტა)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დოკ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 ერთხელ საქართველოში 00.30 მხ/ფ "**საუკეთესო" რაც კი ჩემშია**" (ჯ.მერდსენი) 03.00 ერთხელ საქართველოში

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 პროფილი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.15 ჩვენი ფონდი "მიხეილ ქავთარია-ბესარიონ კათალიკოსი" 06.40 პატერიკი "ღირსი დედა მარიამ ეგვიპტელი" 06.50 დეკორატიული ფლორა "იასამანი" 07.05 ქართული ალბომი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**არსენას ლექსი**" 1 ნაწ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე (ნანა ჩაჩუა) 16.10 დ/ფ "სულიკო კოროშინაძე" 16.55 დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.20 დ/ფ "ბარბაროზა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 22.25 ერთსულოვანი ოჯახი-დემეტრაშვილებიუკრაინელი რძალი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "პულსი" 16.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 17.05, 2.15 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ნადირობა**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**მყნოსავი-1**"

## პარასკევი 18 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.30 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30, 14.05 მხ/ფ "**შორს**" (ნ.კიდმანი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01, 22.00, 02.40 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 23.30 "კომუნიკატორი" 00.30 მოამბე 00.40 მხ/ფ "**ნიღაბი**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 110.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "**პომპეი**" (ე.ბროუნინგი) 01.20 მხ/ფ "**ძილის წინ**" (კ.ფერტი) 03.00 მხ/ფ "**საუკეთესო" რაც კი ჩემშია**" (მ.მონაგანი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 22.50 ქერის უბანი 23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 27 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "სულიკო კოროშინაძე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.00 ერთსულოვანი ოჯახი- დემეტრაშვილები-უკრაინელი რძალი 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 მსოფლიო ხალხთა ზღაპრები "როგორ გაჩნდა მთვარე" 15.40 დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე (ნანა ჩაჩუა) 16.10 დ/ფ "ველური ბუნება-მარტორქები" 16.35 მიწათმოქმედი "ბიოპომუსი" (სასუქი ) 17.00 ყველაფერი ქორეოგრაფიაზე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" III ფილმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" 00.35 დ/ფ "ნიკოლოზობა" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 17.05, 2.15 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ნადირობა**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**მყნოსავი-1**"

## შაბათი 19 დეკემბერი

08.00, 00.40 მოამბე 08.10 ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" 09.30 მხ/ფ "**ზღაპრული უფლისწული**" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.15 ქართ. მხ/ფ "**ლაზარეს თავგადავალი**" 13.25, 14.05 მხ/ფ "**ჯეინ ეარი**" 16.10 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.00 "გურმანია" 17.30 დ/ფ "სამეფო სასტუმრო" 18.00 "ფერმა" 18.30 მხ/ფ "**მტირალა**" (ჯ.დეპი) 20.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 21.00 "ტრანსმისია" 21.30 "წითელი ზონა" 22.30 "ბრაუზერი" 22.45 მხ/ფ "**საით მივყავართ ოცნებებს**" (რ.უილიამსი) 01.50 მხ/ფ "**დანტეს პიკი**"

08.00, 10.10, 16.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 დოკ/ფ " სიყვარულის სახელით" 13.00 მხ/ფ "**ნევერლენდი**" I ნაწ. 14.30 დოკ/ფ "ტიბეტის ძველი სამეფო" 15.00 დოკ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" 17.00 "უნივერსიტეტი" 18.00 დოკ/ფ "კოფი ანანი" 19.00 "ეპიცენტრი" 20.00 "ჩვენი პარლამენტი" 20.30 ქართ. მხ/ფ "**მთვარის ფავორიტები**" 22.10 ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" 23.00 მხ/ფ "**ოთხ ივლისს დაბადებული**" (ტ.კრუზი)

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 08.00 სერ. "**სინდბადი**" 4 სერ. 09.00 მხ/ფ "**დაკარგული ქალი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 11.15 იმედის გმირები 11.35 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 13.00 კულინარიული დუელი 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.00 ქრონიკის სტუდია 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**") 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ – 4**" 23.00 მხ/ფ "**სამაგიერო**" (ფ.ცენტი) 00.45 მხ/ფ "**ნოკაუტი**" (მ.დაგლასი) 02.25 მხ/ფ "**პომპეი**"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 11.15, 12.30, 14.20, 18.30 ძიუდო 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 13.00 ბიზნეს კურიერი 15.30 ნიჭიერი 19.30 გააცინე და მოიგე 21.00 კურიერი - გაბუნია 22.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 28 23.30 რა? სად? როდის? 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ღვთის სახლი 06.40 თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" 06.50 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა"III ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35 სიახლენი 10.35 დ/ფ "სუალტო" 10.50 კვირიაკე 11.00 გამოყენებითი ხელოვნება "გლიპტიკა და მინანქარი–ალექსანდრე ზელენცოვი" 12.10 მხ/ფ "**მოზი დიკი**" III 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 თაობა ზეტი 16.40 დ/ფ "ველური ბუნება- ჟირაფებთან ცეკვა" 17.20 გაცოცხლებული წარსული "შავნაბადა" 1 ნაწ. 18.10 დ/ფ "სამი საქართველო-ტაო,ფერეიდანი,საინგილო" 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა "ზამბახი" 19.35 ქართული ალბომი 20.00 ქრისტიანული ხელოვნება "დიმიტრი თუმანიშვილი--საეკლესიო-სამონასტრო ხელოვნება და კულტურა" 20.50 სიბრძნისმეტყველება 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების სალონი 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფსალმუნი 23.15 დ/ფ "ნიკოლოზობა" 00.05 დროის ჩანაწერები 01.45 მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**" I ნაწ.

მაესტრო 7.00, 10.00, 14.00, 18.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) 8.30 დოკ/სერ. "ბართ ვულფი" 9.30 სერ. "**მონანიება**" 10.30 "პულსი" 11.00 სერ. "**ცოდვილი სისხლი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "თეკუნას კულინარიუმი" 13.00 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 16.00 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 17.00 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.30 დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" 19.05 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.40 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "SWAT-ანალიზი" 22.30 სერ. "**მყნოსავი-1**" 0.00 მხ/ფ "**როგორ მოვიპაროთ ბრილიანტი**" 2.00 სერ. "**ტატიანა**" 2.50 სერ. "**სიყვარულის იმპერია**"

## კვირა 20 დეკემბერი

08.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.05 "მოამბე" 08.10 ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" 09.30 მხ/ფ "**დიდი მსუქანი მატყუარა**" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.15 ქართ. მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" 13.35, 14.05 მხ/ფ "**გრაფინია ჰონკონგიდან**" (მ.ბრანდო) 16.10 "ვაშინგტონი დღეს" 16.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.00 "გურმანია" 17.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 17.55 ირმა სოხაძე – 50 წელი სცენაზე 20.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.10 "უცნობი მუსიკა" 22.40 "ბრაუზერი" 23.00 მხ/ფ "**მოულოდნელი ორსულობა**" (კ.ჰაიგლი) 01.15 მხ/ფ "**მკითხველი**" (კ.უინსლეტი)

08.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დოკ/ფ "ევროპის შუაგულში" 10.00 ქართ. მხ/ფ "**ნუცას სკოლა**" 12.00 დოკ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" 13.00 მხ/ფ "**ნევერლენდი**" II ნაწ. 14.30 **ფეხბურთი** – მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი" ფინალი 17.00 "აფხაზეთი" 18.00 მხ/ფ "**დახეული ფარდა**" 19.30 დოკ/ფ "საფრანგეთი" 20.00 მხ/ფ "**ჩარლი უილსონის ომი**" (ჯ.რობერტსი) 22.00 ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" 23.00 " ნამდვილი დრო" – კვირის დაიჯესტი 23.30მხ/ფ "**სიყვარულის ზღვა**" (ა.პაჩინო)

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 08.00 სერ. "**სინდბადი**" 5 სერ. 09.00 მხ/ფ "**თამამი გოგონები**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ – 4**" 13.00 სტუმრად იუმორინასთან 17.35 VOICE- საქართველო 19.30 რისკფაქტორი 20.30 ილო ბეროშვილის შოუ 21.30 ერთხელ საქართველოში 22.00 მხ/ფ "**რედი**" (ბ.უილისი) 00.00 მხ/ფ "**ტალღებთან მოთამაშე**" (კ.რივზი) 02.15 მხ/ფ "**ნოკაუტი**" (მ.დაგლასი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 09.30 ქ.მხ/ფ 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 13.30 იღბლიანი ბორბალი 14.30 ქერის უბანი 15.30 მარაო 18.30 ექიმები 20.00 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00 განსხვავებული აქცენტები 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.20 დ/ფ "ველური ბუნება-მარტორქები" 06.50 დ/ფ "სამი საქართველოტაო,ფერეიდანი,საინგილო" 07.30 მულტ.ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 11.20 სიბრძნისმეტყველება 11.30 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ "**მოზი დიკი**" IV 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 მუს.პაუზა 15.55 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.40 ბავშვები მუზეუმში 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 მხ/ფ "**არსენას ლექსი**" 2 ნაწ. 20.30 დ/ფ "მოგზაურობა იტალიაში-ტურინის სუდარა" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სღვთისმეტყველო საუბარი "დეკანოზი მიქაელ ფოფხაძე–ამერიკის მართმადიდებლობის შესახებ" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**" II ნაწ.

მაესტრო 7.00, 10.00, 14.00, 18.00, "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) 8.30 დოკ/სერ. "ბართ ვულფი" 9.30 სერ. "**მონანიება**" 10.30 "პულსი" 11.00 სერ. "**ცოდვილი სისხლი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "თეკუნას კულინარიუმი" 13.00, 16.00 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 17.00, 3.00 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.30 "მონიტორი" 19.00 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.35 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 მინისერიალი "ქარბუქი" 0.30 მხ/ფ "**ბანდიტი ქალები**" 2.00 სერ. "**ტატიანა**"

# „მაკნატუნა“ ახმეტელის თეატრშია

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში ახალი სპექტაკლის „მაკნატუნას“ პრემიერა გაიმართება.

ერნსტ თეოდორ ამადეუს ცნობილი ნაწარმოების მიხედვით „მაკნატუნა“ ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი გოგიამ განახორციელა. ინსცენირების ავტორი თამრი ფხაკაძეა, მხატვარი მარიკა კვაჭაძეა, ქორეოგრაფი – გიორგი რაზმაძე.

კლასიკად ქცეული ეს საახალწლო ბალეტი, პეტრე ჩაიკოვსკის განუმეორებელი მუსიკით, მსოფლიოს თეატრების სცენიდან არ ჩამოდის.

ახმეტელის თეატრში დადგმული მაკნატუნა-სპექტაკლი კი პრინცესა მარის, დროსელმეირეის, ბაზელ ბუზელის, ბოროტი მოცეკვავე თაგვების ამბავს მოგვითხრობს, ჯადოსნური ფინალითა და ფერადი პერსონაჟებით. შობა, ყველაზე ზღაპრული, ყველაზე ლამაზი და ჯადოსნური დღესასწაული ახლოვდება, შობის ღამეს კი უშნო კაკლის სატეხი თოჯინა მაკნატუნა, რომელიც უკვე ორასი წლისაა, აუცილებლად ლამაზ უფლისწულად უნდა იქცეს...

**ეკა ირემაშვილი**

# პროფესორმა თვითმფრინავში აურზაური მოაწყო



ჩინეთის პოლიციამ ამერიკის პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის ლექტორი ლუ იუნი თვითმფრინავში მას შემდეგ დააკავა, როდესაც ის ორჯერ შეეცადა უფრო მაღალი კლასის სალონში შეეღწია. მამაკაცმა საჰაერო ხომალდში, რომელიც შანხაიდან ნიუ-იორკში მიფრინავდა, აურზაური მოაწყო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბორტგამცილებლებმა მამაკაცს სთხოვეს ბილეთზე მითითებული ადგილი დაეკავებინა, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა. როდესაც თვითმფრინავის მეთაურმა დაშვება განახორციელა, რათა იუნი ჩამოესვათ, ის ადგილიდან არ დაძრულა. მამაკაცმა პოლიციელებს, რომლებიც მისი თვითმფრინავიდან გამოყვანას ცდილობდნენ, წინააღმდეგობა გაუწია, ის ყვიროდა და სამართალდამცავებს ფეხებს ურტყამდა. საბოლოოდ სამმა პოლიციელმა მოახერხა პროფესორი ხელში აეყვანათ და ისე გამოეყვანათ თვითმფრინავიდან. სამართალდამცავები ამ ინციდენტის დროს მსუბუქად დაშავდნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, პუდონის საერთაშორისო აეროპორტში დაკავებული პროფესორი იუნი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდება წარედგინა, რისთვისაც მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის დოცენტი იუნი ასევე ლექციებს კითხულობდა ჩინეთის სიჩუანის პროვინციის ეკონომიკისა და ფინანსების უნივერსიტეტში, საიდანაც ის უკვე გაათავისუფლეს.

**ქ. ხ.**

# ხატია ბუნიათიშვილმა ქოლდფლეისთან ერთად პარიზში დაუკრა

**ეკა ირემაშვილი**

ქართველმა პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა პარიზში სისხლიანი ტერაქტის შემდეგ კონცერტი გამართა. მასთან ერთად კონცერტში მსოფლიოში ცნობილი როკ ჯგუფი ქოლდფლეიც მონაწილეობდა, რომელთანაც ხატია ახალ ალბომზე მუშაობს.

კონცერტის შემდეგ ქართველმა პიანისტმა მიღებული შთაბეჭდილებები საჯაროდ გამოხატა და ჯგუფის სოლისტს კრის მარტინს მადლობაც გადაუხადა.

ხატია ბუნიათიშვილი:

– ძვირფასო კრის! გუშინ ღამით პარიზში პირველად დავუკარი შენს კონცერტზე. გუშინ ღამით, პირველად ტერაქტის შემდეგ, ვიგრძენი პარიზის გულისცემა, რომელმაც არ იცოდა რა აერჩია – სიყვარული თუ სიძულვილი.

გუშინ ღამით პირველად ცამეტი ნოემბრის შემდეგ ვიგრძენი, სისხლი როგორ მომაწვა გულზე და შემეძლო გაცემაც და მიღებაც. შენმა მუსიკამ, შენმა უსაზღვრო შესაძლებლობამ გიყვარდეს ყველაფერი და ყველა, გახადა ეს შესაძლებელი. საჯაროდ ვიდექი უცხო ადამიანებთან და სიახლოვეს ვგრძნობდი მათთან, ვცეკვავდით, ვტიროდით... ჩვენ არ გვწყუროდა შურისძიება, ჩვენ გვწყუროდა სიყვარული და ჩვენ ერთნი ვიყავით. გუშინ ღამით ეს პარიზში მოხდა...



სანამ შინაგანად გაყინული ვუსმენდი შენს სიმღერებს, სხვადასხვა ემოციების სამყაროში შევაბიჯე სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრების აღრევაში, შედეგად შენ გააქრე სტილი და მუსიკა სამუდამო გახადე ჩარჩოების გარეშე.

შენ არ გიცდია მხოლოდ პოზიტიური ემოციების შექმნა, ყველაფერს გაულე კარი, სასოწარკვეთასაც, იმედსაც, იმედგაცრუებასაც, სიბრაზესაც, სიყვარულსაც. სასოწარკვეთის გარეშე იმედი არ ჩნდება და სიბნელის გარეშე სინათლე არაფერია. მუსიკამ ეს ყველაფერი გაალღვიძა ჩემში ისე, რომ ვერც გავაანალიზე, რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანი იყო და საბოლოოდ ვიგრძენი, როგორ დაიწყო სისხლმა სხეულში მოძრაობა.

მე ბედნიერი ვიყავი, ცოცხალი ვიყავი და ვიგრძენი, რომ სანამ ცოცხალი ხარ, იმედიც არსებობს.

მადლობა, რომ ამ ალბომის ნაწილი გამხადე.

მადლობა კრის! მადლობა ქოლდფლეი! სიყვარულით, ხატია.

# რაზე წუხს მაია დარსმელიძე?



მომღერალი და მუსიკოსი მაია დარსმელიძე ქვეყანაში მოღვაწე პროფესიონალ მუსიკოსებზე წუხს და გული სწყდება, რომ ნამდვილი ხელოვნებისთვის არავის სცალია.

მაია დარსმელიძე:

– ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, სადაც მუსიკოსი თითო მუსიკალურ პროექტში მონაწილეობისთვის ნორმალურ ანაზღაურებას იღებს, ქვეყანაში არსებული ისედაც თითზე ჩამოსათვლელი კარგი ინსტრუმენტალისტი ბევრ პროექტში მონაწილეობის მეტი შემოსავლის მიზნით, მოსწრებაზე კი არა, მუსიკაზე იფიქრებდა...

ძალიან მწყდება გული, რომ მართლა მსოფლიო სტანდარტის მუსიკოსია ყველა ეს ტიპი, მაგრამ არ გაუმართლათ და ისეთ ქვეყანაში ცხოვრობენ, სადაც კრეატივის დრო ფიზიკურად არ არის.

**ეკა ირემაშვილი**

# ოთო და ბესო ნემსაძეებმა პატიმრებს უმღერეს



ეკა ირემაშვილი

მომღერალი ძმები ოთო და ბესო ნემსაძეები ფართო საზოგადოებამ სხვადასხვა მუსიკალური პროექტებიდან გაიცნო. ოთომ „ჯეოსტარი“ მოიგო, ბესომ უკრაინულ იქს ფაქტორში სცადა ბედი და საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობებით ჟიური აღაფრთოვანა.

ამჯერად მომღერალმა ძმებმა ქართველი საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს – პატიმრებს უმღერეს. მომღერლები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში იმყოფებოდნენ.

ოთო და ბესო მსჯავრდებულებს რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში შეხვდნენ, ესაუბრნენ მათ სხვადასხვა თემებზე და საკუთარი რეპერტუარიდან ცნობილი სიმღერები უმღერეს.

– ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით, მხარი დავუჭიროთ მსგავსი ტიპის პროექტებსა თუ ღონისძიებებს, მადლობა თბილი მიღებისთვის, – განაცხადეს მომღერლებმა და პატიმრებთან შეხვედრის პირობა დადეს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მსგავს შეხვედრებს მსჯავრდებულებთან მთელი წლის განმავლობაში პერმანენტულად მართავს.

**ეკა ირემაშვილი**

# ასტროპროგნოზი

## 12 დეკემბრისთვის



**ვერძი** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კურო** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ტყუპები** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **სასწორი** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ღრიანკალი** – ნუ გარისკავთ. ერიდეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქმედებებს, ასევე ქალაქგარეთ გასვლას. დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **თხის რქა** – ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. ნებისმიერი ინიციატივა კრახით დამთავრდება. ფინანსებს გაუფრთხილდით. **მერწყული** – კარგი პერიოდია ხანმოკლე მივლინებებისა და საქმიანი შეხვედრებისათვის. მთავარია, მომენტი სწორად შეარჩიოთ. ნუ ეტყვით უარს მეგობრებს დახმარებაზე. **თევზები** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია.

## 13 დეკემბრისთვის

**ვერძი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **კურო** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **ტყუპები** – მძიმე დღეა. აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა საზიანო იქნება. ახალი იდეების რეალიზება სხვა დროისათვის გადადეთ. **კირჩხიბი** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. მიუტევეთ და მოგეტევებათ. **ლომი** – კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისათვის, რომანტიკული შეხვედრებისათვის. თქვენს ნიჭსა და უნარს დღეს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **ქალწული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ძველი წყენის გახსენება და საქმის გარჩევა კონფლიქტს გამოიწვევს. მოთოკეთ ემოციები და ცივი გონებით იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისათვის. იყავით ჰუმანური, დამთმობი, მიმტევებელი. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. გაიკეთეთ წყლის პროცედურები. **თხის რქა** – კატეგორიულობა და სიხისტე კარგს არაფერს მოგიტანთ. ერიდეთ ინდივიდუალურ საქმიანობას. **მერწყული** – მხედველობას ნუ დაძაბავთ. ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **თევზები** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქვით ნაგები ღობე;; 2. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 3. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 5. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 6. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. ქართული ნაციონალური კერძი; 16. მარადმწვანე, ტროპიკული, ხვიარა, მცოცავი მცენარე.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 4. რამდენიმე ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი; 7. თაღლითი ბანქოს თამაშში; 9. იტალიური მაფიის მეორე სახელწოდება; 11. ისრაელის პარლამენტი; 12. ხევსურული ტანსაცმელი; 13. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 17. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 18. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, ჰეტმანი; 20. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნაერთი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




# სამგლოვიარო განცხადებები



გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, ომისა და შრომის ვეტერანი

**ილია ხოსიტაშვილი**

დაკრძალვა: კვირას, 14 დეკემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 14.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი, მეცნიერებათა დოქტორი, მაღალი დონის თეორეტიკოსი და ექსპერიმენტატორი, შესანიშნავი პიროვნება და ღირსეული მამულიშვილი

**ჯემალ ჩიქოვანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3947

ევრო — 2.6174

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6088

100 რუსული რუბლი — 3.4523

## ამინდის პროგნოზი 12 დეკემბრისთვის






## კალეიდოსკოპი

### სანტას ირმები სრულ მზადყოფნაშია

აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბების მეთაურთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პოლ სელვამ განაცხადა, რომ სანტა-კლაუსის მარხილში შესაბმელი ჩრდილოეთის ირმები სრულ მზადყოფნაშია იმისთვის, რათა ბავშვებს საშობაო საჩუქრები დაურიგოს. ეს განცხადება გენერალმა ამერიკის კონგრესის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტში მოსმენის დროს გააკეთა.



არკანზასელი სენატორის ტომ კოტონის კითხვაზე პასუხის გაცემისას, სელვამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის აეროკოსმოსური თავდაცვის გაერთიანებული ხელმძღვანელობა და აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალები მზად არიან, შობის ღამეს თვალი ადევნონ სანტა-კლაუსის გადაადგილებას.

— ამ მომენტისთვის სრულ სადაზვერვო მონაცემებს არ ვფლობ, მაგრამ შემიძლია განვაცხადო, რომ ჩრდილოეთის ირმებმა საკმარისი რაოდენობის ქერი მიიღეს და მათთვის საჩუქრების დასარიგებლად, რომლებიც წელს კარგი ყოფაქცევით გამოირჩეოდნენ, გასამგზავრებლად მზად არიან, — განაცხადა გენერალმა.

მცირე ხნით ადრე კი, ისევ ამოქმედდა ვებ-გვერდი, რომლის დახმარებითაც რეალურ დროში იბეჭდება ინფორმაცია შობის ღამეს სანტა-კლაუსის გადაადგილების მარშრუტი. ვებ-გვერდზე ინფორმაცია მსოფლიოს რვა: ინგლისურ ფრანგულ, ესპანურ, გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ, ჩინურ და იაპონურ ენაზე იბეჭდება.

### მიშელ ობამამ განათლება გარეკა



აშშ-ს პრეზიდენტის მეუღლემ შემსრულებელ ჯეი ფაროასთან ერთად მონაწილეობა მიიღო რეპვიდეოს გადაღებაში, რომელშიც საუბარია უმაღლესი განათლების სარგებლიანობაზე. ტექსტში საუბარია იმაზე, თუ როგორ იზრდებოდა და ბევრს სწავლობდა ჩიკაგოში მომავალი პირველი ლედი, რათა შემდეგ პრინსტონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში ესწავლა.

— მსურს პატივისცემა გამოვხატო და დავეხმარო ახალგაზრდებს, რომლებიც ბევრს შრომობენ, რათა საკუთარი ოცნება აისრულონ. ეს კი მინდა ახალი და თავშესაქცევი მანერით გავაკეთო, — განაცხადა მიშელ ობამამ.

ვიდეორგოლი იუთუბიზე იქნა განთავსებული და ამ მომენტისთვის ის უკვე 800 ათასზე მეტ ადამიანს აქვს ნანახი.

### ქეით მიდლტონმა პრინცესა დიანას გვირგვინი დაიდგა



კემბრიჯის ჰერცოგინია ქეიტ მიდლტონმა პირველად დაიდგა თავზე გვირგვინი „სიყვარულის კვანძები“, რომელიც პრინცესა დიანას ეკუთვნოდა. ეს ბუკინჰემის სასახლეში ყოველწლიური დიპლომატიური მიღების დროს მოხდა.

მარგალიტებითა და 19 ბრილიანტით შემკული გვირგვინი მიდლტონმა პრინც უილიამისა და 160 ელჩის, ბრიტანელი და უცხოელი დიპლომატის, უმაღლესი კომისრების, სავაჭრო პალატის მაღალჩინოსნების, განათლების, რადიომაუწყებლობისა და ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრაზე მოირგო თავზე. საღამოს უამრავი სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის დედოფალი ელისაბედ II, პრინცი ფილიპი და ბრიტანეთის სამეფო ოჯახის სხვა წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ პირველად საზოგადოებაში პრინცესა დიანას გვირგვინით ქეით მიდლტონი 2011 წლის 29 აპრილს პრინც უილიამთან ქორწილის დროს უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ მაშინ მან სხვა თავსამკაული ამჯობინა.

გვირგვინი „სიყვარულის კვანძები“ 1913 წელს დედოფალ მარიასთვის, გეორგ V-ს მეუღლისთვის, შეიქმნა. ის მემკვიდრეობით მისმა შვილიშვილმა ელისაბედ II-მ მიიღო. 1981 წელს მისმა უდიდებულესობამ გვირგვინი პრინცესა დიანას გადასცა პრინც ჩარლზთან ქორწილის საჩუქრად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კახა ცხადაძე: „მინდა, საქართველოს ნაკრებში წარმატებას მივაღწიო“



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე აზერბაიჯანში დიდხანს მუშაობდა და იქაური მედია ახლაც აწუხებს. მისი ინტერვიუ აზერბაიჯანულ მედიაში გამოქვეყნდა.

***— როგორ მიდის საქმე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში?***

— ყველაფერი წესრიგშია. კლუბსა და ნაკრებში მუშაობა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. ნაკრებში ყოველდღე არ მუშაობ. სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იწყება და ჩვენ უკვე ვემზადებით ამისთვის. გვინდა, ახალ ციკლში კარგად ვითამაშოთ. მარტში ერთი ამხანაგური თამაში გვექნება, მაისში — 2.

***— კლუბის მერე, ალბათ, ნაკრების გაწვრთნა არ გიჭირთ.***

— არ არის რთული. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

***— ვიცით, რომ აზერბაიჯანულ ფეხბურთს თვალს ადევნებთ. რა შეიცვალა თქვენი აზრით?***

— ხშირად ვკონტაქტობ ინტერის მთავარ მწვრთნელ ზაურ სვანაძესთან. მაინტერესებს ის ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაშობენ.

***— დათანხმდება თუ არა ოდესმე კახა ცხადაძე აზერბაიჯანში დაბრუნებას და იქ მუშაობას?***

— მე მიყვარს აზერბაიჯანი. იქ ბევრი ვისწავლე პროფესიონალიზმისა და ადამიანური ურთიერთობების მხრივ. ვფიქრობ, თავიც წარმოვაჩინე. ახლა მე ვარ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი და მაქვს კონკრეტული ამოცანა. ინტერში ყოველთვის უმაღლეს მიზნებს ვისახავდი. ახლა თავი ეროვნულ გუნდში უნდა წარმოვაჩინო. არავინ იცის, რა იქნება მომავალში. ერთი კი ვიცი, რომ აზერბაიჯანიდან სუფთა სინდისით წამოვედი.

***— როგორ მიდის თქვენი შვილის, ბაჩანას საქმეები?***

— ბაჩანამ სეზონი ალბანურ ფლამურტარიში დაიწყო, მაგრამ ეს გუნდი ახლა ფინანსურ კრიზისშია. თითქმის 6 თვე ითამაშეს უხელფასოდ. მას იქიდან წამოსვლა უნდა.

***— აქვს ბაჩანას შეთავაზება აზერბაიჯანიდან?***

— არ ვიცი. სიმართლე გითხრათ, არ ვერევი მის საქმეებში. ის ზრდასრული ადამიანია და თვითონ იღებს გადაწყვეტილებას კარიერასთან დაკავშირებით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## მერაბ ნინიძე ბაბუა გახდა



მსახიობი მერაბ ნინიძე ბაბუა გახდა. საქართველოში ცოტა ხნით დაბრუნებული ხელოვანი ერთდროულად რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მოვლენის ეპიცენტრში მოექცა.

მერაბ ნინიძემ ცხოვრებისგან ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი საჩუქარი მიიღო — მარიამ ნინიძემ მას პირველი შვილიშვილი აჩუქა.

მარიამ ნინიძე და ოთარ შუბითიძე გასული წლის ოქტომბერში დაქორწინდნენ. მათ პირველი შვილი რამდენიმე დღის წინ, ალექსანდრე ნეველის სახელობის დღეს, შეეძინათ, ამიტომაც პატარას ალექსანდრე დაარქვეს.

ახალბედა მშობლებმა პატარას დაბადების მოწმობა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს და ამ სასიხარულო ინფორმაციის გავრცელებისთანავე უამრავი მილოცვა და საუკეთესო საჩუქრები მიიღეს.

**ეკა ირემაშვილი**

## „მის საქართველო“ „მის მსოფლიოს“ ფინალისტებშია




„მის საქართველო 2015“, 24 წლის ნუკა ყარალაშვილი „მის მსოფლიოს“ ფინალისტებში მოხვდა. „მის საქართველოს“ კონკურსს წელს ტრადიციულად ბათუმმა უმასპინძლა. ჟიურის გადაწყვეტილებით, 21 კონკურსანტი გოგონადან გამარჯვებული ნუკა ყარალაშვილი გახდა. ნუკას სიმაღლე 179 სმ-ია და იგი 16 წლიდან მოდის ბიზნესშია ჩართული. „მის საქართველო 2015“-ის ტიტულის მფლობელმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმი შეისწავლა.

„მის მსოფლიოს“ კონკურსის ორგანიზატორებმა ფინალურ შოუმდე ის ტოპ 30 გოგონა დაასახელეს, რომლებიც მის მსოფლიოს ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

წელს მის მსოფლიოს რიგით 65-ე კონკურსში 130 ქვეყნის ლამაზმანმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. მათგან რჩეულთა შორის კი მხოლოდ 30 მათგანი შეირჩა.

— კონკურენცია ძალიან დიდია. 130 ქვეყნის კონკურსანტი მონაწილეობს წელს მის მსოფლიოს კონკურსში. ტოპ 25-ში რომ მოვხვდეთ, ძალიან, ძალიან კარგია, მაგრამ ვერ გპირდებით, უბრალოდ სასწაულების უნდა გვჯეროდეს, — წერდა ჩინეთში მყოფი ნუკა ყარალაშვილი სოციალურ ქსელში.

მართლაც მოხდა სასწაული და ნუკა მსოფლიოს ცენტრალური სილამაზის კონკურსის ფინალისტებში მოხვდა.

წლევანდელი „მის მსოფლიო“ ჩინეთში, სანიას კუნძულებზე 19 დეკემბერს ჩატარდება. ჟიურის წევრთა ვინაობა უცნობია, ნუკამ მხოლოდ ის დაწერა, რომ კონკურსანტებს ჯეკი ჩანი შეაფასებს.

**ეკა ირემაშვილი**



## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— რას შვრებით, როგორ ხართ?

— ჩემმა ცოლმა გადაწყვიტა, სოკოს წარმოება დაეწყო, მოაგროვა, დაამარილა და ნათესავებს გაუგზავნა.

— მერე, მოეწონათ?

— სანათესავო აღარ გვყავს.

•••

ცოლი ზის და წიგნს კითხულობს. უცბად ქმარს გასძახებს:

— ძვირფასო, რა სამარცხვინო ამბავია.

— რა მოხდა?

— შენ წარმოიდგინე, ვიღაც გალაკტიონს ის ლექსები დაუბეჭდავს და წიგნად გამოუცია, რომელიც შენ მე მომიძღვენი ჩვენი გაცნობისას.

•••

კაცი ფსიქიატრთან მივიდა, სკამზე მოკალათდა და ეუბნება:

— ექიმო. იცით რა, ერთი იდეა მაწუხებს: მინდა, რომ ხალხს განავლით გავუმასპინძლდე, მხოლოდ ისე, რომ უბრალოდ კი არ ჭამდნენ, არამედ დამატებას მოითხოვდნენ. დამეხმარებით?

— ცოტა ჩუმად, პატივცემულო, ჩუმად. ჯერ ერთი, თქვენ საავადმყოფოში კი არ ხართ, არამედ — ტელეარხის კადრების განყოფილებაში და მეორეც, ჩვენთვის მისაღები ხართ.

•••

ველურებმა რუსი სტუდენტი დაიჭირეს, ცეცხლი დაანთეს, დიდ შამფურზე მიაკრეს და დაატრიალეს. ბელადი ეუბნება:

— მე ახლა გავივლი და თქვენ ნელა ატრიალეთ, რომ კარგად შეიწვას.

ერთი საათის შემდეგ ბრუნდება და რას ხედავს, მისი თანამემამულეები, რაც ძალა და ღონე აქვთ, შამფურს ატრიალებენ.

— მე ხომ გითხარით, ნელა დაატრიალეთ-მეთქი, — ეუბნება ბელადი.

— ნელა, რომ ვატრიალებთ, კარტოფილს გვიჭამს.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— პირს რატომ არ იპარსავ?

— მეგობარი გოგონა არ მყავს და ვისთვის გავიპარსო?

— საკუთარი თავისთვის.

— საკუთარი თავისთვის ლუდი მაქვს.

•••

მამაკაცი საიუველირო მაღაზიაში შედის, გამყიდველი გოგონა ეუბნება:

— რა კარგია, რომ ჩვენთან შემოიარეთ. წინასადღესასწაულო 20-პროცენტიანი ფასდაკლება გვაქვს. უყიდეთ რაიმე თქვენს მეგობარ ქალს, აი, მაგალითად, ეს ოქროს გულის ფორმის ყელსაბამი, დარწმუნებული ვარ, ძალიან მოეწონება.

— არ მყავს მეგობარი ქალი.

— როგორ, ასეთ წარმოსადეგ, მომხიბვლელ მამაკაცს მეგობარი ქალი არ ჰყავს? რატომ?

— ცოლი არ მაძლევს უფლებას.

•••

მამა შვილთან ერთად სკოლასთან ჩაივლის. მამა ეკითხება:

— შვილო, ესაა შენი სკოლა?

— დიახ.

— 20 წლის წინ მეც ამ სკოლაში ვსწავლობდი.

— მართლა?! ახლა მესმის, რას გულისხმობდა დირექტორი, როდესაც მითხრა, რომ ისეთი უტვინო, როგორიც მე ვარ, 20 წელია, სკოლაში არ ჰყოლია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**